ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 5 მარტი, 2021 №35 (8564) ფასი: 60 თეთრი

მიხეილ კალანდიას ადვოკატი სტრასბურის სასამართლოში საჩივარს გზავნის

გვ.5

გვ.5

მე-4 მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე ჯარისკაცი ჯონი ძინძიბაძე დაიღუპა

„გახარიას შეცდომების ბრალია, რომ ვაქცინა არ გვაქვს“

გვ.3

ლევან კობერიძე: „პარტიები პარლამენტში უნდა შესულიყვნენ“

„სასამართლო რეფორმა იუსტიციის საბჭოს ამ შემადგენლობის დაშლით უნდა დაიწყოს“

„ქვეყანას ლორები მართავენ!“

გვ.2

ვატო სურგულაძე: „ჩინურ ვაქცინას თუ ექნება ამერიკული სააგენტოს თანხმობა, შემოიტანონ, პირველი მე ავიცრები“

გვ.3

„ივანიშვილის გარეშე ღარიბაშვილს პრეზიდენტის სასახლეშიც არ მიუშვებდნენ“

მურმან დუმბაძე: „გახარიაზეც არ ვარ მაღალი წარმოდგენის, მაგრამ ის არის პირველი პრემიერი, რომელმაც თავისი გადადგომის მიზეზი ღიად დაასახელა“

„რიგგარეშე არჩევნების გარეშე არანაირი კრიზისი არ დაიძლევა“

გვ.4

გოგი წულაია: „კობახიძესა და მის გარემოცვას „სპიჩკა“ არ უნდა მივცეთ“

გვ.2

სააკაშვილი: „პლებისციტზე დათანხმება არ შეიძლება“

გვ.4

„რუსეთი, თურქეთი და ირანი ცდილობენ, კავკასია დასავლეთს ჩაუკეტონ“

ვახტანგ მაისაია: „ზოგჯერ დიპლომატიურ მოლაპარაკებებშიც კატეგორიული უნდა იყო, უნდა თქვა არა და მორჩა“

ISSN 1987-9385

2 შალვა პაპუაშვილი: „ნაცმოძრაობა ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს“

5 გორში 12 წლის გოგონამ იმშობიარა
დაკავებულია 50 წლის მამაკაცი

5 შსს-ს თანამშრომელი და 4 პირი დააკავეს

6 უნგრეთში მაღაზიები და დაწყებითი სკოლები იხურება

„ქვეყანას ღორები მართავენ!“

ვატო სურგულაძე: „ჩინურ ვაქცინას თუ ექნება ამერიკული სააგენტოს თანხმობა, შემოიტანონ, პირველი მე ავიცრები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, ვაქცინის სკანდალი ჩვენს ქვეყანაში ისევ არ ცხრება. არც ის ვიცით, როდის მივიღებთ ვაქცინას. ვისმენთ შეფასებებს, რომ შესაძლოა, ამის გამო ჯანდაცვის მინისტრი და ასევე ამირან გამყრელიძეც გადაყენონ. ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე?

– ჯანდაცვის მინისტრს იმდენად ძლიერი პოზიციები აქვს, ალბათ, ის ნაკლებად გადაჰყვება ამ ამბავს. პოლიტსაბჭოს წევრია ქალი, ვინ მოჰკიდებს მაგას ხელს?! ეს, პრაქტიკულად, გამორიცხულია. თუ თვითონ არ იგრძნო პასუხისმგებლობა, ნამუსი არ იქონია და თვითონ არ წავიდა, ისე არავინ გაუშვებს. მაგის დიდი „დამსახურებაცაა“, ეს პროცესი რომ ჩავარდა, თუმცა ძირითადი პასუხისმგებელი არის გახარია, რომელიც კი არ წავიდა თანამდებობიდან, არამედ გაიქცა, ვინაიდან თვითონაც გრძნობდა, რომ ეკონომიკა ჩააგდო სრულად, 13%-იანი ვარდნა არ გვქონია არასდროს საქართველოს. ვაქცინების პროცესი ხომ ჩააგდო და ჩააგდო.

– ამირან გამყრელიძე რამდენად არის პასუხისმგებელი პირი?

– ვიღაცაზე ალბათ გადატეხენ ჯოხს. ხომ დაიწერა ე.წ. ვაქცინაციის 60-გვერდიანი გეგმა. ვერ ნახავთ იქ გამიჯვნას, თუ ვინ რაზეა პასუხისმგებელი. ვაქცინის შემოტანაზე მთავარი პასუხისმგებელი პირია პრემიერ-მინისტრი, ის არის აღმასრულებელი პირი და მას უნდა გაეკეთებინა ყველასა და ყველაფრის მობილიზაცია. ჩვენთან კი რა ხდება? ვისაც არ ეზარება, ეს იქნება ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე, აქეთ თენგიზ ცერცვაძე – ყველა რაღაც განცხადებას აკეთებს, ყველა ჭკუას გვარიგებს – მინისტრის მოადგილე, მინისტრი. ასე არ შეიძლება, უნდა იყოს ერთი სპიკერი, იმან უნდა თქვას და იმან უნდა აგოს მერე თავის სიტყვებზე პასუხი. ყველა თავისას ამბობს და ამიტომ ჩნდება უნდობლობა მთავრობის მიმართ. ერთხელ გადაგვაგდეს, ორჯერ, სამჯერ, კარგით, რა!

– რატომ ვერ მოაბეს თავი საკითხს? ტელეფონის ზარს ველოდებით და მეილების მიწერ-მოწერაა. უფრო სერიოზულ დონეზე არ უნდა დაეყენებინათ ეს საკითხი?

– რა თქმა უნდა. მინისტრის მოადგილე გაბუნია გამოდის და ამბობს, ტელეფონის ზარს ველოდებითო. უკვე ყველანაირ ზღვარს გადადის მსგავსი განცხადება. იმან გადაგვაგდო, ამან არ მოგვცა. რას ჰქვია, არ მოგვცა?! ესენი ძირითადად აპელირებენ ე.წ. კოვაქსის პლატფორმაზე. კოვაქსმა სულ 20% უნდა მოგვცეს

წლის განმავლობაში. დანარჩენ 50-60%-ს რას ვუშვრებით?! ამაზე რა ხდება? მხოლოდ გუშინ გაფრინდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ინდოეთში. უზარმაზარი ქარხანაა იქ, ძალიან ხარისხიან პროდუქტს უშვებენ იმიტომ, რომ ასტრაზენეკას პატრონაჟის ქვეშ იმყოფებიან. ახლა გაახსენდათ და გუშინ გაფრინდა მინისტრის მოადგილე. აქამდე სად იყვნენ? ბილეთს ვერ შოულობდნენ (ეს ხუმრობით)? ამაზე მუშაობა სექტემბერ-ოქტომბერში უნდა დაწყებულიყო. 2-3 მილიონამდე ვაქცინა გვჭირდება სულ, რა გაუხდათ ამის მოძიება.

– თქვენ ფიქრობთ, რომ გახარიაა მთავარი პასუხისმგებელი პირი?

– ერთ-ერთი მთავარი, დიახ, გახარიაა და მერე მოდიან ეს გაუგებარი პირები. ყველაზე ცუდი ის არის, რომ პასუხისმგებლობა გაწერილი არ არის. ყველა სახელმწიფო მოხელის ძირითადი თვისება არის პასუხისმგებლობა, ოღონდ არა ისეთი პასუხისმგებლობა, როგორსაც ესენი და წინა ხელისუფლება იყვნენ მიჩვეული. პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვიღებთო. რაში გამოიხატება?! მოხსნეს ვინმე, დაიჭირეს თუ ჯარიმა გადაახდევინეს?! იმის გამო, რომ ქვეყანას ზარალი მიაყენეს, მარტო იმაზეა ვიღაც დასაჭერი, ამ რაღაც კოვიდპლატფორმაში ნახევარი მილიონი ლარი რომ გადაყარეს და ამან საერთოდ არ იმუშავა. გაიძახიან, პასუხისმგებლობას ვიღებთო. თუ ასეა, მაშინ ან მიყენებული ზარალი უნდა აანაზღაურო, ან ციხეში უნდა ჩაჯდე, ან გადადგე და ცხოვრებაში აღარ მიბრუნდე სახელმწიფო მართვაში. ეს ყველაფერი არ არის გაწერილი, ვისაც არ ეზარება, ყველა განცხადებას აკეთებს და ყველა თავის თავს თვლის პასუხისმგებელ პირად. უნდა თქვან კონკრეტული გვარი, რომ აი, ეს პირია ამ საკითხზე პასუხისმგებელი და რასაც ის იტყვის, სწორედ ის არის შეთანხმებული სახელმწიფოს პოზიციასთან. ჩვენთან კი რა ხდება?! ვისაც არ ეზარება, ყველა ამ თემაზე საუბრობს.

– გაურკვეველია მათი განცხადებები. ახლა ეს ყველაფერი ჯანმოს გადააბრალეს. რა ხდება, პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ?

– რა თქმა უნდა, ასეა. ჩვენს კომენტატორებს მაგონებს ეს სიტუაცია. თუ თამაშისას საქართველო აგებს, ე.ი. მსაჯი იყო ცუდი ან მოედანი არ ვარგოდა. ასე არ გამოვა, შენს თავში უნდა იპოვო პრობლემა. ნიგერიამ და აფრიკის ქვეყნებმა თუ მიიღეს ვაქცინა, შენ ასეთი რა პრობლემა გქონდა?!

– ყველაზე მაჩანჩალა აღმოვჩნდით ამ საკითხში?

– ზუსტად ასეა. სულ რამდენიმე ქვეყანა დარჩა მსოფლიოში, რომლებსაც ვაქცინა არ მიუღიათ. კამბოჯამაც კი მიიღო ვაქცინა და ჩვენ – არა. ამ ფონზე რას აცხადებს ჩვენი ხელისუფლება? რა მნიშვნელობა აქვს, როდის დავიწყებთ, მთავარია დამთავრებაო. რაც არ დაგიწყია, რა უნდა დაამთავრო?! ისეთი მენეჯმენტი ავაწყვეთ, უცებ გავაკეთებთ ამ ყველაფერსო. ჯერ ერთი, ვაქცინა ჩამოვა ნელა-ნელა. ეს დროში გაწერილი პროცესია. შენ რომ წახვედი და ცდილობ, იყიდო ინდოეთში, ვერც ის მოგართმევს ხვალ და ზეგ. ისიც პორციებად მოგაწვდის. თუ ადრე არ დაიწყე, ადრე როგორ დაამთავრებ?! თანაც ამათი მმართველობის ქვეშ. საერთოდ არ იციან მართვა. საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი გამოწვევა! რუსეთთან ომი ამასთან რა მოსატანია. ის ამის ფონზე რა გამოწვევა იყო, რას ამბობთ! არ ჰქონია მსგავსი გამოწვევა საქართველოს. აქ გვჭირდება ქუდზე კაცი და ყველაფერი უნდა გაკეთდეს ისე, რომ ქვეყანა ნაკლებად დაზარალდეს!

– შიდადაპირისპირება ჰქონდათ და ამან დააზარალა სწორედ ეს პროცესიო. ასეა?

– ეს არის უპასუხისმგებლობა. ამ საკითხისადმი ასე მიდგომა როგორ შეიძლებოდა. ერთი მეუბნება, ოპოზიციონერი ხარ და რა უფლება გაქვს, ანალიზს რომ აკეთებო. ოპოზიციონერი ვარ თუ ვინც ვარ, მე ამ ქვეყნის მტერი კი არა ვარ! მე არავისზე ნაკლები არა ვარ და მინდა, რომ ჩემი ქვეყანა იყოს ერთ-ერთი პირველი ყველაფერში. მინდა, ნორმალური ცხოვრების რიტმს დავუბრუნდეთ.

– მარტის ბოლოზეა საუბარი. ვაქცინა აუცილებლად შემოვა ამ დროისთვისო. დავიჯეროთ?

– მე არა მაქვს ამის მოლოდინი. ამათი აღარაფერი მჯერა, უკვე იმდენჯერ მოგვატყუეს. შენ რომ რაღაცას ვერ გააკეთებ, პასუხისმგებლობა იმაშია, უნდა თქვა, ვერ ვაკეთებ და მივდივარო. მუდმივად მენტორული ტონით გვესაუბრებიან და არც არაფერს აკეთებენ.

– ჩინურ ვაქცინაზეც კეთდება აქცენტი. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ჯერჯერობით ვერც კარგს ვიტყვი და ვერც ცუდს. თუ ამ ვაქცინას ექნება ამერიკული სააგენტოს ან ჯანმოს თანხმობა, შემოიტანონ, მე პირველი ავიცრები. უნდა იყოს დასაბუთებული, რომ ეს არის კარგი ვაქცინა.

– მაქსიმალურად მარტივდება შეზღუდვები და, როდესაც ვაქცინის შემოტანა კიდევ გაურკვეველია, ეს კვლავ პრობლემებს ხომ არ შექმნის?

– რა თქმა უნდა, უკეთესი იყო, ეს მომხდარიყო ვაქცინის ფონზე, მაგრამ ეკონომიკის გახსნის გადადება ქვეყნისთვის დამღუპველი იქნებოდა. ეკონომიკა უნდა გაიხსნას! კარგად ხედავთ, რაც ხდება – გაძვირება, გაღარიბება. რაც ამათ გააკეთეს, სწორედ რომ მათი პასუხისმგებლობაა, გამყრელიძეებისა და ტიკარაძეების, ასევე – გახარიების! როდესაც გახსნეს ვითომ ეკონომიკა აჭარასა და სვანეთში ყველანაირი რეგულაციების დაცვისა კონტროლის გარეშე, ქვეყანას უარესი შედეგი დაუყენეს. ეკონომოკა უნდა გაიხსნას, უნდა ამუშავდეს ყველაფერი, ოღონდ აუცილებელია კონტროლი. დაარღვია ვიღაცამ, შეუშვა იმაზე მეტი ხალხი რესტორანში, რაც დასაშვები იყო? უნდა დაჯარიმდეს სერიოზულად. სამარშრუტო ტაქსში ჩასვა 15-ის მაგივრად 20 მგზავრი? უნდა დაჯარიმდეს სერიოზულად და საერთოდ გაუუქმდეს ლიცენზია. ბიზნესი მიხვდა იმას, რომ უმჯობესია, წესები დაიცვან და ისე იმუშაონ, ვიდრე გაჩერებული და დაკეტილი იყვნენ. წარმოიდგინეთ, რამხელა სისულელეა, რესტორნებს ხსნიან და საკომენდანტო საათს არ აუქმებენ, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა პოლიტიკურისა. არავითარი!

– პოლიტიკური იარაღია?

– რა თქმა უნდა. სამსახურიდან რომ 7-ზე გამოვდივარ, რესტორანში რომ შევიდე და 9 საათზე სახლში ვიყო, ეს როგორ უნდა მოვახერხო?! ეს არის დიდი სისულელე. იმის არ იყოს, გახსნეს ზამთრის კურორტები და არ გახსნეს საბაგიროები! რატომ? ამის კონტროლს რა უნდა?! აბსოლუტურად ულოგიკო გადაწყვეტილებებია. საკომენდანტო საათი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურია. 12 საათამდე მაინც გადაეწიათ. საშვი მაქვს, ღამეც მიწევს სიარული და ვერ ვხედავ მანქანების ნაკლებობას.

– უმრავლესობას საშვი აქვს?

– ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, ცოლებსა და საყვარლებს ყველამ გაუკეთა საშვი და ასე არ შეიძლება. ერთი დიქტატორი იყო ადრე, რომელსაც ჰქონდა ასეთი ლოზუნგი: მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს კანონი! აი, ზუსტად ამ სიტუაციაში ვართ. ტიპური დიქტატორული დამოკიდებულებაა. მარტო ობოლაშვილის ღრეობა წყნეთში რად ღირდა! ეს არის დიდი სირცხვილი. ზუსტად ორველის ცხოველთა ფერმაში ვართ. ყველა ცხოველი თანაბარია, ოღონდ ზოგი უფრო თანაბარია და ღორები გვმართავენ, როგორც ორველის ცხოველთა ფერმაში! ღორები გვმართავენ ჩვენ!

სააკაშვილი: „პლებისციტზე დათანხმება არ შეიძლება“

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება პლებისციტის მოდელზე დათანხმება, რომელსაც თავს ივანიშვილი გვახვევს, – ამის შესახებ საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში მიმართვისას აღნიშნა.

მისივე თქმით, ქვეყანას სჭირდება არა პლებისციტი, არამედ რიგგარეშე არჩევნები.

„ივანიშვილს უნდა, ადგილობრივ არჩევნებთან ერთად ჩაატაროს პლებისციტი, სადაც ის დახარჯავს ბევრ ფულს, მოისყიდის ბევრს, რომც წააგოს და აუცილებლად წააგებს, ექნება რამდენიმე თვე კიდევ, რომ დააშინოს, მოისყიდოს, დაიჭიროს და ქვეყნიდან გაყაროს ათასობით ადამიანი, აქტიური ამომრჩეველი.

ამასობაში ქვეყანა კარგავს კიდევ ერთ წელიწადს, მეგობრებო! ჩვენ არ გვაქვს დასაკარგი არც ერთი დღე. ძალიან მძიმე სიტუაციაა. უმძიმეს ეკონომიკურ სიტუაციაში ვიმყოფებით. ქვეყანა არის შიმშილის პირობებში. კოვიდზე კატასტროფა მოუვიდათ, ღამის ბოლო ქვეყანა დავრჩით, ვაქცინა რომ არ არის შემოტანილი. ამ სიტუაციაში დროის დაკარგვა არ შეიძლება და არც უნდა მივცეთ ამის საშუალება.

მას შემდეგ, რაც ნიკა მელია გამოვა, მიიღებს მკვეთრ გადაწყვეტილებებს. იმედი გვაქვს მისი ლიდერობისა და შეუპოვარი ხასიათის, მაგრამ ამაში ყველა ადამიანი უნდა ჩაერთოს. ჩვენ გვჭირდება რიგგარეშე არჩევნები, იმიტომ, რომ არჩევნები, რომელიც იყო, იყო ბოლომდე გაყალბებული და მოპარული. ეს იცის ყველამ.

კარგია, მივესალმები ევროპელების ჩართულობას, მაღალ დონეზე ინტერესის გატანას, საერთაშორისო რეაქციებს, მაგრამ ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ არ ვართ ჩვეულებრივ სიტუაციაში, ივანიშვილის გეგმა არის ახლა საარჩევნო კომისიაში კოსმეტიკური ცვლილებები, მოაშორებს ჟვანიას და დანიშნავს ვიღაც სხვას, პლებისციტს მოგვახვევს თავზე და მერე ყველანაირ მანიპულაციებს შეეცდება.

ჩვენ მკვეთრად უნდა ვიმოქმედოთ და არ უნდა დავუტოვოთ მას მანევრის დრო და საშუალება“, – განაცხადა სააკაშვილმა.

შალვა პაპუაშვილი: „ნაციმოძრაობა ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს“

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციის ნაწილი, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა და ა.შ. ბოიკოტს გამოუცხადებს ადგილობრივ არჩევნებს იმიტომ, რომ ისინი არჩევნების გზით ძალაუფლებას ვერ იღებენ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა შალვა პაპუაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

– ლოგიკურია, რომ ისინი ბოიკოტს გამოუცხადებენ არჩევნებს იმიტომ, რომ მოქალაქეების იმედი არ აქვთ, არჩევნების იმედი არ აქვთ. მათი ერთადერთი იმედია, რომ იქნებ რამენაირად ბუნტი გამოიწვიონ ამ ქვეყანაში. მათ დემოკრატია საერთოდ არ აინტერესებთ.

დააკვირდით 2012 წლიდან მოყოლებული მათ პოლიტიკურ გზას. ეს იყო ბოიკოტის გზა ყოველთვის, ეს იყო არჩევნების არაღიარება – არც ერთი არჩევნები არ უღიარებიათ. 2012 წლის არჩევნებს დღემდე არ აღიარებენ და ამბობენ, რუსული პროექტიაო. არც 2016 წლის არჩევნები აღიარეს და წინა პარლამენტში ნახევარი დრო ბოიკოტში გაატარეს. მათ არ აინტერესებთ ქართველი ამომრჩევლის ნება. ნაციონალური მოძრაობის ჯგუფს აინტერესებს ძალაუფლება.

ახლა ერთადერთი საკითხი პატარა პარტიებია, ისინი მთლიანად შეეწოვებიან თუ არა ნაციონალურ მოძრაობას თუ რამენაირად გამოაჩენენ, რომ მხრებზე საკუთარი თავი ადგათ. ბოიკოტი გამორიცხული კი არა, მოსალოდნელიც არის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. მათ არჩევნები არ აინტერესებთ. მათ აინტერესებთ ძალაუფლება და ცდილობენ, რომ ამას არადემოკრატიული გზით მიაღწიონ.

ჩვენ ჩვენს გასაკეთებელს ვაკეთებთ. ამ პუნქტებში, რომლებსაც თვითონ ასახელებენ (ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართულ ბოლო შეხვედრაზე განსაზღვრული 6 პუნქტი) წერია საარჩევნო რეფორმა – ჩვენ ვაკეთებთ, წერია საგამოძიებო კომისია – ჩვენ ვაკეთებთ. ისინი არიან გარეთ, ისინი არ აკეთებენ არაფერს, მხოლოდ ლაპარაკობენ და ღლიან ქართველ საზოგადოებას საკუთარი ლაპარაკით.

ეტყობა საზოგადოებას, რომ დაიღალა უკვე. ხან პროტესტს გამოაცხადებენ, ხან პიკეტს და საზოგადოება მათ მხარდასაჭერად, ვხედავთ, რომ არ მიდის, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ოპოზიციური სპექტრი მოლაპარაკებებისგან არაფერს ელის, რადგან შეთანხმება არ სურს.

– საქმე ის არის, რომ ოპოზიცია არც არაფერს ელის. სამწუხაროდ, ეს არის რეალობა, რასაც ჩვენ ყოველ ჯერზე ვხედავთ და რაც დადასტურდა. ჩვენი ნათქვამი ხომ არ არის? ეს თქვეს „მოქალაქეებმა“ და „გირჩმა“, რომლებიც შიგნით იყვნენ ოპოზიციასთან და თქვეს, რომ იქ არის ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც, უბრალოდ, არ სურს მოლაპარაკება და შეთანხმება. რატომ არ სურთ? იმიტომ, რომ მათ არ სურთ ოპოზიციის როლი. მათ სურთ ძალაუფლება. ამ ძალაუფლებას ხალხის მანდატით ვერ იღებენ და ამიტომ ცდილობენ გარკვეულ მღელვარებას.

ეს ყველაფერი მოლაპარაკების სიმულაცია რომ არის, იმანაც გვაჩვენა, რომ პრეზიდენტ მიშელთან შეხვედრიდან 10 საათიც არ იყო გასული, როცა იქ დავარცხნილი საუბრის შემდეგ გადაერთვნენ პიკეტირებასა და დეპუტატების შეურაცხყოფაზე, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას შეცდომების ბრალია, რომ ვაქცინა არ გვაქვს“

ლევან კობერიძე: „პარტიები პარლამენტში უნდა შესულიყვნენ“

იაგო ნაცვლიშვილი

როგორ აფასებს ვაქცინაციასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს? რატომ ჭგონია, რომ გახარიამ ამ თემაზე იკეკლუცა და შემდეგ პასუხისმგებლობას გაექცა? რას ფიქრობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადო გამწესების თაობაზე? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკოსი ლევან კობერიძე საუბრობს.

– ვაქცინა ვერ შემოვიდა. ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირები ხელს იშვერენ კრიტიკოსებისკენ და ამბობენ, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებულები არიან. თავი დავანებოთ 2-3-კვირიან დაგვიანებას. ამის მიღმა ყველაფერი რიგზეა?

– ფაქტია, რომ რიგზე არ არის. ყველაფერი რიგზე რომ იყოს, მაშინ არ იქნებოდა რადიკალურად განსხვავებული აზრები, თუნდაც პოლიტიკურად მოტივირებულ ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის. ეს აჩვენებს, რომ ნამდვილად არ არის ყველაფერი რიგზე.

ყველას ავიწყდება პრემიერობიდან წასული გახარია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ზედმეტი კეკლუცობითა და პოზიორობით, რომ შექმნილიყო აღქმა, თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, რომ ხელისუფლება სწორ ნაბიჯებს დგამს ვაქცინასთან დაკავშირებით. გახარიამ გადაჭარბებული მოლოდინი შექმნა. რეალურად გახარიას მართვის უუნარობა სწორედ ახლა აისახება შედეგებში.

– გახარია პასუხისმგებლობას გაექცა?

– რა თქმა უნდა. როდესაც ჩვენ ამას ვამბობდით, ყველა გვეწინააღმდეგებოდა. საქართველოში შედეგებზე მსჯელობა გვიჭირს ხოლმე, უფრო ემოციური ხალხი ვართ, მაგრამ ფაქტია, რომ მისი არასწორი ქმედებების შედეგია ეს ვითარება.

– თენგიზ ცერცვაძემ ისიც გვითხრა, საქართველო ისრაელზე უკეთესად მუშაობს, რადგან, ვაქცინაციის დაწყებისა და დიდი რაოდენობით ადამიანების აცრის მიუხედავად, მათ მაინც ბევრი ინფიცირებული ჰყავთო. ლოგიკა დაინახეთ ამაში?

– უადგილოა ეს შეფასება, უფრო ძაბავს ვითარებას და კონფრონტაციისკენ მიჰყავს სიტუაცია. გასაგებია, რომ ვაქცინაცია არ არის ერთადერთი კომპონენტი, მაგრამ წარმოიდგინეთ იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებსაც ახლობელი გარდაეცვალათ. რეალურად, ბუნებრივია, რომ აგრესია ამ ადამიანებზე მოდის და, როცა ეს ადამიანები გამოდიან და ამბობენ, კარგად ვმართავთ სიტუაციასო... ასეთი გამონათქვამები ამ ვითარებაში კატეგორიულად მიუღებელია.

– გახარია რეალურად პასუხისმგებლობას გაექცა, რადგანაც მოსალოდნელი შედეგი იცოდა?

– მან უკვე დიდი ხანია იცოდა, რომ მისი გადადგომა გადაწყვეტილი იყო „ოცნებაში“ და, უბრალოდ, ელოდნენ ხელსაყრელ მომენტს, როდესაც ცვლილება ყველაზე მეტად იქნებოდა მისაღები. შესაბამისად, გახარიამ იცოდა მთელი ეს მოცემულობა და შემიძლია ვთქვა, რომ თავისი გუნდის წინაშე პასუხისმგებლობასაც გაექცა და ძალიან არასწორად მოიქცა.

– სასამართლო კლანთან დაკავშირებით ახალი მოძრაობებია უზენაესში უვადო დანიშვნებთან დაკავშირებით. რამდენად სწორია თქვენი ყოფილი პარტიის მტკიცე პოზიცია, რომ ახლა უნდა შეჩერდეს ამის ფორმირება?

– „ოცნებას“ იმიტომაც დავშორდი, რომ ის უვადო დანიშვნები და კლანის „ჩაბეტონება“ ხდებოდა.

„სასამართლო რეფორმა იუსტიციის საბჭოს ამ შემადგენლობის დაშლით უნდა დაიწყოს“

ეს მოახდინეს საკანონმდებლო ცვლილებებით. მაშინ სწორედ ამის გამო დავტოვე „ქართული ოცნება“. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ახლა ეს უნდა იყოს არათუ შეჩერებული, არამედ სასწრაფოდ რეფორმაა დასაწყები, რასაც ჩვენ ვამბობდით და რის გამოც დავტოვეთ „ქართული ოცნება“. მაშინ ვამბობდი და გამოჩნდა, რომ „ოცნებას“ კლანთან გარიგება სჭირდება სწორედ არჩევნების „გაფორმებისათვის“. დღეს ვხედავთ, რომ, სამწუხაროდ, პოლიტიკური მართლმსაჯულებაა. ჩვენი დასავლელი პარტნიორების მოწოდებების მიუხედავად, სასამართლო რეფორმას არ იწყებენ.

რეფორმა უნდა დაიწყოს იუსტიციის საბჭოს ამ შემადგენლობის დაშლით. იუსტიციის სკოლაში ახალი და პატიოსანი ადამიანები უნდა მოვიდნენ. ამ სისტემაში უნდა მოხდეს განახლება. ამის გარეშე რეფორმა შეუძლებელია.

– დაიწყება? გაქვთ ეს მოლოდინი?

– ამ ხელისუფლების პირობებში ეს მოლოდინი არ მაქვს. მაგრამ, მაქვს მოლოდინი, რომ როდესაც იქნება არჩევნები, ოპოზიცია, ხალხის მოთხოვნების შესაბამისად, შეძლებს თავისი თავის პოზიციონირებას და არა ისე, როგორც მოხდა ერთ პოლიტიკურ ძალაზე მიკუთვნებადობის თვალსაზრისით საკუთარი თავის წარმოჩენა.

– ვის არის მიკუთვნებული ოპოზიცია?

– ორი პოლუსი ჩანს. არჩევნები რომ ჩატარდეს, ახლა „ოცნება“ და ნაცმოძრაობა ჯამში იმაზე მეტ ხმას აიღებენ, ვიდრე ეს მოხდა 2020-ის არჩევნებზე.

– უფრო მეტად პოლარიზებულია გარემო და ამიტომ გაემიჯნეთ „ლელოს“?

– რა თქმა უნდა. ეს არის ის მეთოდი, რომელიც ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ ერთად აქვთ და ეს ვერ ავუხსენი „ლელოში“.

– დამოუკიდებლად როგორ იბრძოლებთ ამის მისაღწევად?

– არიან პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც აბსოლუტურად იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომელსაც მე ვამბობ. ვხედავთ, რომ მოსახლეობაშიც ეს განწყობაა.

– შესაძლოა, სხვა პარტიაში შეხვიდეთ?

– ჯერჯერობით ამაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს არის მოთხოვნა, პოლიტიკოსები მოიქცნენ ცივილიზებულად, მოსახლეობის არჩევანის შესაბამისად და მოთხოვნაა იმ პარტიებზე, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებას შეძლებენ. ოპოზიცია უნდა ყოფილიყო პარლამენტში. ამის სანაცვლოდ მივიღეთ ორპოლუსიანი სივრცე. ჩვენს პარტნიორებს არ ესმით, რატომ არ შევიდნენ პარლამენტში ის ძალები, რომლებსაც შეეძლოთ გარღვევა ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციამ, ისევე, როგორც მთავრობამ, ნახევრად კი არა, სრული სიმართლე თქვას. ორივე სიმართლის იმ ნახევარს ამბობს, რომელიც მას აწყობს. ახლა იმ პოლიტიკოსებისა და ჯგუფების დროა, რომლებიც ბოლომდე იტყვიან სიმართლეს, თვითკრიტიკულებიც იქნებიან და მოსახლეობის განწყობებთანაც ახლოს იდგებიან.

ჩემთვის გაუგებარია იმ ხალხის ერთად ყოფნა, რომლებიც ერთმანეთს რეჟიმის სახით უპირისპირდებოდნენ. გაუგებარია ისიც, რომ თითქოს ახლა ყველაფერი გვერდზე უნდა გადაიდოს.

ჩემი აზრით, ეს თავიანთი არასწორი ქმედებების გამართლების მცდელობაა, რისიც ხალხს არ სჯერა და ამიტომ აქვთ ასეთი ვითარება.

„ივანიშვილის გარეშე ღარიბაშვილს პრეზიდენტის სასახლეშიც არ მიუშვებდნენ“

მურმან დუმბაძე: „გახარიაზეც არ ვარ მაღალი წარმოდგენის, მაგრამ ის არის პირველი პრემიერი, რომელმაც თავისი გადადგომის მიზეზი ღიად დაასახელა“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ორ კვირაში ბრიუსელში შეხვედრა უნდა გაიმართოს. შარლ მიშელის მიერ დატოვებული 6-პუნქტიანი გეგმა დღეს რა პროცესშია?

– ერთადერთი, რაც აქამდე ვიცით, შარლ მიშელის წასვლიდან მეორე დილით გაკეთებული განცხადებაა. ვადამდელი არჩევნები არ იქნება. არაადეკვატურ ხალხთან გვაქვს საქმე. ესენი ხომ არათანმიმდევრულები არიან. 8 მარტის შეთანხმება ხომ ყველას კარგად ახსოვს. ჯერ გვითხრეს, რომ არავითარი შეხვედრა არ იქნებოდა, მერე სპონტანურად ღარიბაშვილი თავად მივიდა შეხვედრაზე. მიშელმა 6-პუნქტიანი გეგმა ყველას ჩამოურიგა და სთხოვა, გასცნობოდნენ. ღარიბაშვილმა ეს გეგმა ჩვეულებრივად მიიღო. ამ 6 პუნქტიდან ერთი ვადამდელ არჩევნებს ეხება, მეორე – პოლიტპატიმრებს, დანარჩენი – სასამართლოს, საარჩევნო კოდექსსა და ა.შ.

უახლოეს დღეებში ყველაფერს პასუხი გაეცემა. შარლ მიშელი არ არის ხელწამოსაკრავი ადამიანი. პრაქტიკულად, დღევანდელ ევროპაში ნომერ პირველი პოლიტიკური ფიგურაა. ვერ გეტყვით, „გადააგდებენ“ თუ არა, მაგრამ „გადაგდება“ ამათი საფირმო ნიშანია. დიდი ალბათობით, შეეცდებიან, „გადააგდონ“,

მაგრამ დასავლეთი რამდენად გადაიგდებს თავს, ეს არის მნიშვნელოვანი. არც ოპოზიცია აპირებს თავის გადაგდებას.

– უმრავლესობის წევრი გიორგი ხელაშვილი ამბობს, რომ ტანგოს ცეკვისთვის ორია საჭირო. ამ პუნქტების შესრულებისთვის 113 დეპუტატის საჭიროებაზეა საუბარი.

– ამ დოკუმენტს ხელი მოაწერონ. დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები და მერე, გნებავთ, 113 დეპუტატის საჭიროებაზე ისაუბრონ და, გნებავთ, 213 დეპუტატის. ვადამდელ არჩევნებს პრეზიდენტი ნიშნავს და არა პარლამენტი. ტექნიკურად როგორ დალაგდება ეს ყველაფერი, უკვე მეორეხარისხოვანია. აქ ხომ საუბარი პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა, რომელიც ხელისუფლების მისაღებია და არა ოპოზიციის. რა ჰგონიათ მათ, რომ ეს არ იცის შარლ მიშელმა?!

– თუ ასე არ განვითარდა მოვლენები?

– მაშინ გაგრძელდება ის, რაც დღეს არის, რაც არავის აწყობს, პირველ რიგში კი – ბიძინა ივანიშვილს. კარვები, მიტინგები, მანიფესტაციები, შტურმი დასავლეთიდან – ეს ყველაფერი გაგრძელდება. ძნელი საქმეა გასაკეთებელი, თორემ მარტივს ყველა გააკეთებს. დიახ, ძნელი დასანიშნია ვადამდელი არჩევნები ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ეს საქმე გასაკეთებელია.

– ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს საქმე?

– ბიძინა ივანიშვილმა, მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა. ირაკლი ღარიბაშვილი ამ გადაწყვეტილებას რომ ვერ მიიღებს, ეს დღეს ბავშვმაც კი იცის. გადაწყვეტილების მიმღები ქვეყანაში სანამ ეს ხელისუფლება იქნება, არის ივანიშვილი. უმარტივესი ალგორითმია ჩვენ წინაშე. ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერად დაბრუნება მხოლოდ ამის დასტური იყო. პოლიტიკური ფიგურები ასე მარტივად არ მიდიან თანამდებობიდან და არც ბრუნდებიან. კვირიკაშვილზე, როგორც პოლიტიკოსზე, არ ვარ მაღალი წარმოდგენის, მაგრამ მან რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა, რომელთა შინაარსიც პოლიტიკური ხასიათის იყო. ეს უკვე პოლიტიკოსობაა.

– გახარიაზე რას იტყვით?

– გახარიაზეც არ ვარ მაღალი წარმოდგენის, როგორც პოლიტიკოსზე, მაგრამ, გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ის არის პირველი პრემიერი, რომელმაც ღიად დაასახელა თავისი გადადგომის მიზეზი და ამის შესახებ ხალხს უთხრა. ეს იყო მნიშვნელოვანი განაცხადი მისი მხრიდან. მე ვერ გავიგე, რატომ გადადგა გიორგი კვირიკაშვილი, ვერც ის გავიგე, თავის დროზე რატომ გააგდეს ღარიბაშვილი თანამდებობიდან.

მთელ ამ ამბავში გახარია სოლიდური გამოჩნდა. არა უშავდა კვირიკაშვილს, მაგრამ ღარიბაშვილი საერთოდ არ წერია ამ ამბავში.

– იქნებ ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს თუნდაც ამ პროცესთან დაკავშირებით?

– შეუძლებელია, ვერ მიიღებს. ბიძინა ივანიშვილის გარეშე, გამორიცხულია, ვინმემ რამე გადაწყვიტოს. მეტიც, მის გარეშე ღარიბაშვილს პრეზიდენტის სასახლეშიც არ მიუშვებდნენ შეხვედრაზე. მეორე დილით გაკეთებული განცხადებაც ივანიშვილის განცხადება იყო – არავითარი ვადამდელი არჩევნები. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რადგან კარგად ვიცნობ, მას აღარ აინტერესებს „ქართული ოცნება“, მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნება აინტერესებს, თავისი უსაფრთხოებიდან და ქონების დაცვიდან გამომდინარე. შემიძლია ვუთხრა, რომ ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებს. რაც შეეხება ქონებას, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, ვინც არ უნდა იყოს, რაიმე ქონება ჩამოერთვას. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი. ჩვენ წერტილი უნდა დავსვათ და ქონებრივ დავაში არ უნდა გადავიდეთ. თუ გადავალთ, იმწუთში დავბრუნდებით იქ, სადაც ვართ და საიდანაც 30 წელია, ვეღარ გამოვდივართ. ეს ყველამ უნდა გაითავისოს.

ელისაშვილი: „სააკაშვილს მხოლოდ ძალაუფლების დაბრუნება აინტერესებს“

პარტია „მოქალაქეების“ ერთ-ერთი ლიდერის ალეკო ელისაშვილის შეფასებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არც პლებისციტი უნდა და არც ვადამდელი არჩევნები.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, სააკაშვილს დაკარგული ძალაუფლების დაბრუნება და შურისძიება სურს იმ ხალხზე, რომელმაც მანამდე ძალაუფლება დააკარგვინა ან ზურგი აქცია.

– სააკაშვილს არც პლებისციტი უნდა, არც ვადამდელი არჩევნები, არც პოლიტიკური მართლმსაჯულების ცვლილება, არც საარჩევნო სისტემის რეფორმა, არაფერი აინტერესებს ობიექტურად. ამ კაცს ხელისუფლებაში დაბრუნება უნდა. მისთვის ყველაზე მარტივი გზა არის ამოყირავება – რევოლუცია. მას უნდა იმ ძალაუფლების დაბრუნება, რომელიც დაკარგა. ეს იმისთვის უნდა, რომ შური იძიოს იმ ხალხზე, რომელმაც მანამდე ძალაუფლება დააკარგვინა, ზურგი აქცია და ა.შ. რევანშისთვის უნდა, დანარჩენი მისთვის არაფერი საინტერესო არ არის.

რაც ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მისთვის საინტერესო არ არის. შარშან ამბობდა, პროპორციული ვისაც უნდა, სულელია. არადა, მთელი ქვეყანა ვიბრძოდით იმისთვის, რომ პროპორციული გვქონოდა, – განაცხადა ელისაშვილმა.

მისი განმარტებით, ოპოზიციის დიდი ნაწილი პარლამენტში შესვლას ისედაც აპირებდა, უბრალოდ, ამისთვის საბაბი არ ჰქონდათ.

– ოპოზიციის დიდ ნაწილს შემოსვლა სულ უნდოდა, მაგრამ რაღაც ხელმოსაჭიდი ვერ მოძებნეს. ჩვენი პარტია, სხვებისგან განსხვავებით, არ მივედ-მოვედებოდით. ვთქვით, რომ ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ცვლილებები, – განაცხადა ელისაშვილმა.

იგი დარწმუნებულია, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია ციხიდან გამოვა და ოპოზიციაც შევა პარლამენტში.

ალეკო ელისაშვილმა ასევე დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ ოპოზიციამ აქციების მოდიფიკაციის გადაწყვეტილება მიიღო.

– კარგია, რომ გუშინ გადაწყვიტა ოპოზიციამ, აქციების ფორმა შეეცვალა და რამდენიმე აქცია გადადო. წარმოიდგინეთ, რამდენი თვეა ვაწვალებთ ამ ქვეყანას. ამდენ ხანს ელაპარაკათ ასე, მაგრამ, კი ბატონო, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. სულ გავიძახოდით, მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს, დავხვდეთ, დავილაპარაკოთ, შევთანხმდეთო. ადრე რომ ასე ელაპარაკათ, ახლა უკვე პარლამენტში აბსოლუტურად სხვა საკითხებზე ვიმუშავებდით, თუნდაც ვაქცინაციაზე. დარწმუნებული ვარ, იქ უფრო ძლიერი ოპოზიციური ხმა რომ ყოფილიყო, ამ ხნის განმავლობაში ვაქცინებიც შემოტანილი იქნებოდა და მთავრობაც უფრო მეტ ანგარიშვალდებულებას იგრძნობდა, – განაცხადა ელისაშვილმა.

„რიგგარეშე არჩევნების გარეშე არანაირი კრიზისი არ დაიძლევა“

გოგი წულაია: „კობახიძესა და მის გარემოცვას „სპიჩკა“ არ უნდა მივცეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

უამრავი სხვა გამოწვევის ფონზე საქართველოში პოლიტიკური კრიზისიც არის. ოპოზიციამ საპროტესტო აქციების ფორმატი შეარბილა, თუმცა, კრიზისის მოგვარებაზე ლაპარაკი ნაადრევია. დაიძრა თუ არა ყინული პოლიტიკურ პროცესებში ევროკავშირის მაღალჩინოსნის, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის აქტიურად ჩართვის შემდეგ? რა მოხდა ბაღდათის საკრებულოში? რას აპროტესტებს ხალხი ქუთაისში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ გოგი წულაიას.

– გაჩნდა თუ არა პოლიტიკური კრიზისის მოგვარების შანსი მას შემდეგ, რაც პროცესში ჩაერთო ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი? რას უნდა ველოდოთ ბრიუსელის შეხვედრამდე?

– კრიზისის მოგვარების შანსი ნამდვილად გაჩნდა. ხელისუფლებას სხვა გზა არ დარჩა, უნდა წავიდეს დათმობაზე. ხელისუფლება კრიზისს არც კი აღიარებს, მაგრამ ასე ვერ გაგრძელდება. ცოტა ხნის წინ პირდაპირ ეთერში ვიყავი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთან ერთად. ამ კაცმა დაიჟინა, კრიზისი არ გვაქვსო.

– ეს მიშელის ვიზიტის შემდეგ მოხდა?

– დიახ. ვუთხარი, კარვები გაგიშალეს, დროშებს გიფრიალებენ, აქციები ტარდება, პოლიტიკოსები პარლამენტში არ შედიან, უამრავი პარტია არჩევნების შედეგს არ აღიარებს, ამაზე მეტი კრიზისი რა გინდათ-მეთქი. პასუხი არ აქვთ, მაგრამ კრიზისს არ აღიარებენ.

– მთავარ უთანხმოებას პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები იწვევს?

– რიგგარეშე არჩევნების გარეშე არანაირი კრიზისი არ დაიძლევა. მსოფლიოში ასეა მიღებული. მათ ეს უნდა შეიგნონ. პოლიტიკურ კრიზისს ემატება დიდი ჩავარდნა ეკონომიკაში, კორონა, სოციალური უკმაყოფილება. ამის განმუხტვისთვის საჭიროა ვადამდელი არჩევნები.

– დასავლელი პარტნიორებისგანაც იგრძნობა ვადამდელი არჩევნების სურვილი?

– ევროპა კრიზისის განმუხტვის სხვა გზას არ იცნობს და უცხოელი პარტნიორები რატომ უნდა იყვნენ რიგგარეშე სამართლიანი არჩევნების წინააღმდეგი?! ისინიც ხომ აცნობიერებენ, კიდევ რა გამოწვევები აქვს საქართველოს – სოციალური, ეკონომიკური და სხვა.

– ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის საკითხში აქვს თუ არა მნიშვნელობა პრემიერ-მინისტრის პიროვნებას?

– „ოცნების“ საქართველოში პრემიერ-მინისტრები არ არიან დამოუკიდებლები. ყველაფერს მართავს ივანიშვილი. გინდა პარტიული თანამდებობა ეკავოს და გინდა ჩრდილში იჯდეს, მაინც ისაა ყველაფრის თავიდათავი. ირანში რომ შაჰი იყო და თურქეთში – სულთანი, ისეა ივანიშვილი საქართველოში.

– თქვენი კოლეგები სხვა ოპოზიციური პარტიებიდან გამუდმებით ლაპარაკობენ სანქციებზე, რომლებსაც, მათი თქმით, მალე დაუწესებენ ივანიშვილს.

– მთავარი სანქციები ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ ხალხმა დაუწესა. საზოგადოებამ უთხრა უარი ივანიშვილს და, თუ უცხოეთიც შემოიღებს მის წინააღმდეგ სანქციებს, ეს დამატება იქნება.

– ცოტა ხნის წინ ბაღდათის საკრებულოში „ქართული ოცნება“ დატოვა რამდენიმე დეპუტატმა. ამაზე განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნება“ ფაჩიკოს გარმონივით იშლება. რა მოხდა იმ საკრებულოში?

– ახლაც გავიმეორებ, რომ „ქართული ოცნების“ დაშლა დაწყებულია. სიმართლე გითხრათ, ამ ფაქტის მიმართ დიდი ინტერესი არ გამომიჩენია, არ გამომიძიებია, როგორ მოხდა. ერთი კი ვიცი – ბაღდათის საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქცია დატოვა სამმა წევრმა. ეს ხალხი გახარიას მოყვანილი იყო. ასე უშვებენ გახარიას კადრებს.

– თუ ასეა, გამოდის, რომ გახარიას კადრები მარტო აღმასრულებელი ხელისუფლებიდან არ მოდიან. გიორგი გახარიას პოტენციური ახალი პოლიტიკური ცენტრის ლიდერად მოიაზრებენ.

– ასე უდგებიან საკითხებს – კაცი თუ გადადგა, მისი კადრები უნდა მიაყოლო. ასე რომ შვრებიან, იმიტომ აქვს ქვეყანას დედა ნატირები და იმიტომ გარბის ბენზინის ფასი უსაშველოდ. გახარია სწორად მოიქცა, უარი რომ თქვა ნაციონალური მოძრაობის ოფისის შტურმსა და ნიკა მელიას იმ დღეს დაკავებაზე. ეს გახარიას კარგი ნაბიჯი იყო. ისე, არა მგონია, გახარიამ შეძლოს გამაერთიანებლისა და ახალი ცენტრის ლიდერის როლის შესრულება. ის, რაც ახლა ხდება, გახარიას ბრალიც არის.

– კერძოდ?

– არჩევნების წინ გახარია პირველი წამოიჭიმა „ქართული ოცნების“ სიაში, დადიოდა, ხალხს არწმუნებდა, ხმა მოგვეცით, საუკეთესო ადამიანები ჩავსვით სიაში, რეფორმებს ვიწყებთო. რა მივიღეთ? აღარც ივანიშვილი ჩანს, გახარია წავიდა და შეგვრჩა კობახიძე, რომელსაც 10 კაცი არ აძლევს ხმას. გურულებს აქვთ გამოთქმა, აბდალს „სპიჩკა“ არ უნდა მისცეო. კობახიძესა და მის გარემოცვას „სპიჩკა“ არ უნდა მივცეთ. მართალია, დამოუკიდებლები არ არიან, მაგრამ საქმის წახდენას მაინც ახერხებენ.

– ქუთაისი ბოლო ხანს დიდი პროტესტის ეპიცენტრი გახდა – ხალხმრავალი მიტინგი და მსვლელობები გაიმართა ნამახვანჰესის აშენების წინააღმდეგ, ასევე იყო აქცია ბენზინის გაძვირების თემაზე.

– „ბენზინის“ აქცია მხოლოდ საწვავს არ ეხებოდა. ეს იყო პროტესტი ცხოვრების გაძვირებაზე. ხალხი ისედაც უმძიმეს მდგომარეობაშია, ფასები კი ყოველწამს იზრდება. ბენზინი ყოველდღიურად ძვირდება. ხელისუფლებამ ზომები უნდა მიიღოს და ბენზინის გაძვირება გააჩეროს. ავიღოთ ასეთი მაგალითი – შეზღუდვების შემდეგ იხსნება რესტორანი. მიდის მეპატრონე და ყიდულობს სურსათს. დავუშვათ, რაღაცაში იხდის 5 ლარს. მეორე დღეს იგივე უჯდება 5 ლარ-ნახევარი და ასე უსასრულოდ. მსოფლიოში ნავთობი და ბენზინი რომ იაფდება, საქართველოში მაინც ძვირდება ხოლმე. ბენზინზე მომატებული ფასი აძვირებს სხვა პროდუქციას, ხალხი კი შიმშილობს. ნამახვანის გამო დიდი აქცია იყო. ამ ჰესის აშენება ჯერ კიდევ კომუნისტებს უნდოდათ.

– საბოლოოდ კომუნისტებმა უარი თქვეს ამ ჰიდროელექტროსადგურზე?

– დიახ. არ ვიცი, კონკრეტული პროექტი დაიწუნეს თუ რისკების გამო შეიკავეს თავი. შემდეგ ეს იდეა გააცოცხლა მიშამ. სააკაშვილმაც ვერ გაბედა ნამახვანჰესის აშენება. ქუთაისიდან ნამახვანამდე 10 მეწყერსაშიში ზონაა. დიდია ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე. ვიღაცას რომ მერე სახლი დაენგრეს, კერძო კომპანია არაფერს აუნაზღაურებს. გამოდის, რომ ამაზე ხალხის ფული ანუ ბიუჯეტის თანხა უნდა დაიხარჯოს. ხალხს ჰესის გამო აყრა და სხვაგან გადასვლაც არ უნდა. ამის გარდა, მსოფლიო ვითარდება, ჩვენ კი ჩამორჩენილები ვართ.

– ენერგიის სხვა წყაროებზე საუბრობთ?

– განვითარებული მსოფლიო ალტერნატიულ წყაროებზეა გადასული. ალტერნატიული წყაროების გარდა, ხელისუფლებამ ელექტროენერგიის დაზოგვასა და რაციონალურ მიღებაზე უნდა იფიქროს. ხალხს რომ მოძველებული მაცივრები („ზილი“ და სხვა) აქვს, ისინი ბევრ დენს წვავს. რა ელექტროსადგურებიც არსებობს, ისინი სანახევროდ მუშაობს, მაგალითად, რიონჰესი. აამუშაონ სრულად, იფიქრონ ასევე ქარხნების გახსნაზე და ასეთი ამბავი აღარ იქნება.

„რუსეთი, თურქეთი და ირანი ცდილობენ, კავკასია დასავლეთს ჩაუკეტონ“

ვახტანგ მაისაია: „ზოგჯერ დიპლომატიურ მოლაპარაკებებშიც კატეგორიული უნდა იყო, უნდა თქვა არა და მორჩა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, მოგეხსენებათ, ქვეყანა ურთულეს მდგომარეობაშია. რუსეთთან, ფაქტობრივად, ომის ვითარება გვაქვს. შიდაპრობლემებიც არსებობს. ამ სიტუაციაში ახლახან ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი თურქეთში იმყოფებოდა. როგორც გახმოვანდა, უნდათ შექმნან „სამი პლუს სამი“ ფორმატი, რომელშიც, ერთი მხრივ, სამი სამხრეთ კავკასიის ქვეყანა – სომხეთი-აზერბაიჯანი-საქართველო, მეორე მხრივ კი – რუსეთი-თურქეთი-ირანი იქნებიან. თურქეთში რთულ ვითარებაში მყოფ საქართველოს შესთავაზეს ამ ფორმატში მონაწილეობა. რა შეთავაზებაა ეს საქართველოსთვის და რა უნდათ რუსეთს, თურქეთსა და ირანს, ამ ჰეგემონ ქვეყნებს სამხრეთ კავკასიის პატარა ქვეყნებისაგან? რა პრობლემებს შეიძლება შეეჯახოს ქვეყანა ამ ფორმატში მონაწილეობით?

– ეს არის რუსულ-თურქული ინიციატივა. მათ სურთ, კავკასიის რეგიონში გავლენის სფეროები გადაინაწილოს სამმა ჰეგემონმა – რუსეთმა, თურქეთმა და ირანმა, როგორც ეს მოხდა სირიაში. ფაქტობრივად, სირიის გამოცდილების განხორციელება სურთ კავკასიის რეგიონზე.

– როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით გავიგე, ამ ფორმატში მონაწილეობაზე უარი თქვეს. ზალკალიანმა თქვა, ამ ფორმატში მონაწილეობა ვერ წარმომიდგენია, რადგან რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებულიო.

– მე სხვა შთაბეჭდილება მქონდა. შეიძლება, ვცდები. იქ ისეთი საკითხები განიხილებოდა, მომეჩვენა, რომ სთანხმდებოდა.

– მე ასეთი ფრაზა მოვისმინე, რუსეთს ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული, ვერ წარმომიდგენია, როგორ მოხერხდება თანამშრომლობაო.

– შეიძლება, თურქეთმა სხვა კუთხე შესთავაზა ქართულ მხარეს, რაზეც, შესაძლოა, დასთანხმდეს. მე არ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ ინიციატივის კატეგორიული უარყოფა მოხდა. რაღაც ვერ შევნიშნე, რომ ქართულმა მხარემ კატეგორიულად უარყო.

– ვთქვათ, კატეგორიული უარყოფა საჭირო იყო?

– პრინციპში, ალბათ, საჭირო იყო, ქართულ მხარეს მკაფიოდ ეთქვა, რომ რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკა არ გვაძლევს საშუალებას, ამ ფორმატში მონაწილეობა მივიღოთ, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა, ირანთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და ჩვენი მეზობელი ქვეყნები ამ ფორმატში მონაწილეობენ. ამის თქმა შეიძლებოდა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

ზოგჯერ დიპლომატიურ მოლაპარაკებებშიც კატეგორიული უნდა იყო, უნდა თქვა არა და მორჩა. ეს დიპლომატიაში მიღებული ვარიანტია. თუ შენს ინტერესებს ეწინააღმდეგება, უნდა თქვა, ეს ფორმატი მე არ მაწყობსო, ისე, როგორც 1999 წელს რუსეთს კატეგორიულად მოვთხოვეთ სამხედრო ბაზების გაყვანა.

ქვეყანა თუ ხარ, ქვეყანას უნდა ჰქონდეს კატეგორიული პოზიცია, თუ ეს შენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. აღნიშნული ფორმატი ჩვენს ეროვნული ინტერესების რეალიზაციის მოდელს ნამდვილად არ შეესაბამება. ამ ფორმატში არ მონაწილეობს არც ევროკავშირი, არც – ამერიკა, იგივე ევროკავშირის სახელმწიფოები, თუნდაც გერმანია და საფრანგეთი.

ამ ფორმატში თურქეთი არის. თურქეთსა და ჩვენ შორის არის უფრო თბილი და პარტნიორული ურთიერთობა, მაგრამ ამ ფორმატში ყოფნა ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

– თან სამხრეთ კავკასიაშიც არ არის ნორმალური ვითარება.

– სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარება რუსეთს აწყობს. აზერბაიჯანი მისი გავლენის ქვეშ არის. სომხეთში სიტუაცია, მართალია, სამხედრო გადატრიალების ფონზე, რთულია, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს, რუსეთს აწყობს.

– სომხეთში გადატრიალება მოხდა?

– გადატრიალება მიმდინარეობს, პროცესშია. გადატრიალება წარმატებით თუ დამთავრდება, კვლავ მოსკოვის წისქვილზე დაასხამს წყალს. თუ ფაშინიანი პოზიციებს შეინარჩუნებს, სომხეთი კიდევ უფრო მიეჯაჭვება მოსკოვს.

სომხეთში როგორც უნდა დამთავრდეს მიმდინარე პროცესები, რუსეთის პოზიციებს გააძლიერებს. მოსკოვმა გაიძლიერა პოზიციები აზერბაიჯანსა და სომხეთში, თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა.

– როგორ?

– აი, მაგალითად, მოხდა ასეთი ფაქტი: თურქეთის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე სამუშაო ვიზიტით შევიდა რუსეთის სამხედრო ფრეგატი, შეივსო სურსათ-სანოვაგე, აიღო წყალი, დაისვენა და წავიდა. ასე მხოლოდ სტრატეგიული მეგობრები იქცევიან. წარმოიდგინეთ, ნატოს სამხედრო ბაზაზე შევიდა რუსული სამხედრო გემი, თავისი საჭიროებები მოიმარაგა, დაისვენა და გზა გააგრძელა.

– რატომ დაუშვეს ნატოს ბაზაზე ეს?

– არ ვიცი, მაგრამ რუსეთისა და თურქეთის საზღვაო ძალებს შორის სტრატეგიული თანამშრომლობა ფაქტია. რუსეთ-თურქეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტებს შორის თანამშრომლობაზეა საუბარი. როცა ასეთი ურთიერთობაა – ანკარასა და მოსკოვს შორის არაფორმალური ალიანსი არსებობს, ხოლო ირანი, მართალია, ჩვენი მეზობელია, მაგრამ ამერიკისადმი მტრულად განწყობილი ქვეყანაა, არადემოკრატიული სახელმწიფოა. ამერიკა კი ჩვენი მეგობარია. ერთი თურქეთი დარჩა. თურქეთის პოზიცია ვიცით. ამიტომ „სამი პლუს სამი“ ფორმატი ემსახურება, პირველ რიგში, რუსეთის, თურქეთისა და ირანის ეროვნული ინტერესების რეალიზაციას რეგიონში.

– კონკრეტულად, რიგით საკითხამდე რომ დავიყვანოთ, რის გაკეთება უნდა რუსეთს ჩვენი ტერიტორიისაგან ამ შემთხვევაში? ვთქვათ, ნავთობსადენის გატარება თუ რა?

– რუსეთს ჩვენგან ბევრი რამ უნდა. რუსეთს, სავარაუდოდ, უნდა ვთქვათ, სამხედრო ტრანზიტის აღდგენა, იმავე რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენა სურს. რუსეთს უნდა, საქართველო გამოიყენოს პლაცდარმად დასავლეთთან დაპირისპირების მიმართულებით. ბევრი მომენტია. არ გამოვრიცხავ, საქართველოში რეჟიმის შეცვლაც მოახდინოს. აქ მხოლოდ საქართველოზე კი არა, რეგიონზეა საუბარი. რუსეთს, თურქეთსა და ირანს უნდათ, რეგიონი ჩაკეტონ და დასავლეთი არ შემოვიდეს.

თურქეთს დასავლეთის ქვეყნებთან, ამერიკასა და ევროკავშირთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. სამი რეგიონული ჰეგემონი გაერთიანდა და აპირებენ, კავკასიის რეგიონი დასავლეთისთვის ჩაკეტონ.

– ე.ი. რუსეთი, თურქეთი და ირანი გაერთიანდნენ და მახრჩობელას უნდა, კავკასია ჩაყლაპოს?

– ეს არის ძირითადი მომენტი. ამ ვითარებაში კატეგორიული არა უნდა ვთქვათ. დღეს თურქეთი და რუსეთი უფრო მეტად არიან დაახლოებული, ვიდრე ოდესმე. ფარული ალიანსი აქვთ. თუკი დასავლეთის სახელმწიფოები არ არიან ალიანსში, იქ ჩვენი ადგილი არ არის.

– აზერბაიჯანი და სომხეთი თუ ეთანხმებიან ამ ფორმატს?

– აზერბაიჯანი და სომხეთი ამ ფორმატში მონაწილეობას დაეთანხმნენ. მათთვის ეს ფორმატი სავსებით მისაღებია იმიტომ, რომ აზერბაიჯანის მხრიდან მის ინტერესებს თურქეთი აბალანსებს. სომხეთისთვის რუსეთისა და ირანის მონაწილეობა სავსებით საკმარისია. თურქეთის პრეზიდენტმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირ სოლიდარობა გამოუცხადეს ფაშინიანს. ასეთი რამ არ ყოფილა ბოლო 30 წლის განმავლობაში. თურქეთმა მხარი დაუჭირა სომხეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას. ფაშინიანი აწყობს რუსეთსაც, თურქეთსაც და ირანსაც.

– რის ფასად შეიძლება დასთანხმდეს ასეთ მახრჩობელა ფორმატში მონაწილეობას საქართველო?

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ფორმატში მონაწილეობას მიიღებენ ამერიკა ან ევროკავშირი, იგივე საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი. ისეთ ფორმატში, სადაც არ არის არც ერთი ჩვენი სტრატეგიული მეგობარი და მტრულ გარემოცვაში ვართ, დათანხმება არ შეიძლება.

მიხეილ კალანდიას ადვოკატი სტრასბურის სასამართლოში საჩივარს გზავნის



დავით სარალიძის განზრახ, ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაში მსჯავრდებულ მიხეილ კალანდიას ადვოკატი ზურაბ თოდუა საჩივარს სტრასბურის სასამართლოსთვის ამზადებს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თოდუამ განუცხადა.

თოდუას თქმით, საჩივარში ყურადღებას იმ დარღვევებზე გაამახვილებს, რომელთაც კალანდიას მიმართ ადგილი ჰქონდა.

ადვოკატის განმარტებით, საჩივარი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების დარღვევას. თოდუა მიიჩნევს, რომ კალანდიას ეს უფლება დაერღვა ყველა ინსტანციის სასამართლოში, განსაკუთრებით კი ეს დარღვევა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში აისახა.

ზურაბ თოდუა ასევე გამოეხმაურა სარალიძის საქმეზე დანაშაულის დაფარვაზე მსჯავრდებულ დაჩი ღლონტის გათავისუფლებას და აღნიშნა, რომ თუკი დაჩი ღლონტის საქმეზე, ასევე, საქმეში ერთ-ერთი ფიგურანტის, გიორგი მენაბდის, დაჭრის ფაქტზე ობიექტური გამოძიება წარიმართება, ეს კალანდიას საქმეს დაანგრევს.

– დაჩი ღლონტი გაათავისუფლეს. მას დანაშაულის დაფარვისათვის 3 წელი ჰქონდა მისჯილი. ის არის პირი, რომელიც დათუნა სარალიძეს ბოლომდე დაუდგა გვერდით, დაჭრილს სასწრაფოს მოსვლამდე პატრონობდა. ამ დროს ყველა მისი კლასელი შემთხვევის ადგილიდან გაიქცა. ამ ბავშვის დაპატიმრება ზაზა სარალიძის ახირება იყო. ის დაჩისგან კალანდიაზე ხელის დადებას ითხოვდა. არადა, ღლონტი საჯაროდაც ეუბნებოდა, რაც არ მინახავს, როგორ ვთქვაო.

ზაზა სარალიძე ამ ბავშვზე „კუპრავას გამოძიებით“ ახირდა. კუპრავამ ჩაწერა ის ფარულად, სადაც ათქმევინა, რომ მან იცოდა, რომ მძიმე დანაშაული მოხდა, მაგრამ პოლიციაში არ განაცხადა, ანუ დანაშაულის დაფარვა „გაუჩალიჩა“ მისთვის სასურველი ჩვენების მიუცემლობის გამო. ასეთი დანაშაული იმ დღეს მინიმუმ, 34 მოწმეს აქვს ჩადენილი, თუმცა, არც ერთი პასუხისგებაში მიცემული არ არის. ობიექტური გამოძიება დაჩი ღლონტის საქმეზე კალანდიას საქმეს დაშლის.

საქმეში დევს ერთი მტკიცებულება – გუგა ბარბაქაძის ფარული ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს დაკანონებული აქვს, სადაც ეს მოწმე, დადუნაშვილის მკვლელობისათვის გასამართლებული, ამბობს, რომ ის ჩხუბში მაშინ ჩაერთო, როდესაც დაინახა, თუ როგორ დაარტყეს გიორგი მენაბდეს ზურგში დანა.

ეს ბიჭი, ვინც მენაბდე დაჭრა, გუგა ბარბაქაძეს დეტალურად ჰყავს აღწერილი, მისი ამოცნობა არანაირი პრობლემა არ იყო გამოძიებისათვის, რამდენიმე ვიდეოზეა ასახულ-დახატული. საქმე იმაშია, რომ ეს აღწერილობა ძალიან ჰგავს დაჩის. მენაბდის დაჭრის საქმე მოჩვენებითადაა გამოძიებაში, ფაქტობრივად, თაროზეა შეგდებული და არავინ იძიებს.

კალანდიას საქმეზე არც ერთმა სასამართლომ არ იმსჯელა ამ ფარულ, კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებაზე. საინტერესოა, რატომ – ამ მტკიცებულების გამოყენება დროებითმა საგამოძიებო კომისიამ რეკომენდაციით აუკრძალა – თავი შეიკავეთო, უთხრა გამოძიებას, სასამართლოს.

აქედან გამომდინარე, ყველაზე არსებითი გარემოება რჩება კითხვის ნიშნის ქვეშ – რას აფუჭებდა მენაბდე ფარდულში ისეთს, რამაც სარალიძის ბავშვობის მეგობრის ასეთი აგრესია გამოიწვია, რატომ არ იქნა ეს აგრესია კალანდიას მიმართ მიმართული, ვინაიდან, იმ დროს, მენაბდის დამჭრელი კალანდიასთან უფრო ახლოს იმყოფებოდა, ვიდრე მენაბდე.

მოკლედ, დაჩი ღლონტი მთელი ეს დრო ციხეში პოლიტიკური გარიგებით შემდგარი განაჩენით იჯდა.

როდესაც გიორგი გახარიამ საქმე გადაიბარა, ზაზა სარალიძე ერთ-ერთ მოთხოვნად დაჩი ღლონტის დაპატიმრებასაც ასახელებდა, ანუ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, „გამომძიებელი კუპრავა“ და მისგან მართული ზაზა სარალიძე იმედოვნებდნენ, ციხეში მაინც შეიძლება ალაპარაკდესო.

ამ უნიათო ხელისუფლებაში თუნდაც ამ საქმის ობიექტური გამოძიება დაარღვევს კალანდიას საქმეს. ამიტომ არ მიმდინარეობს გამოძიება მენაბდის დაჭრის საქმეზე, დაჩი ღლონტის საქმეზე და ასევე ხორავას ქუჩის საქმიდან გამოყოფილ საქმეზე, რომელსაც მოწმეებზე ზეწოლის სახელით თითქოს, იძიებენ, – აცხადებს თოდუა.

მე-4 მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე ჯარისკაცი ჯონი ძინძიბაძე დაიღუპა

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მე-4 მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურემ მორიგეობის დროს თვითმკვლელობის მიზნით თავისივე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან განახორციელა გასროლა.

უწყების ცნობით, სამხედრო საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

„მიმდინარე წლის 3 მარტს მე-4 მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურემ, I კლასის რიგითმა ჯ.ძ.-მ განწესში მორიგეობის დროს თვითმკვლელობის მიზნით, თავისივე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან განახორციელა გასროლა.

სამხედრო მოსამსახურე დაუყონებლივ გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის მიზნით, თუმცა სამწუხაროდ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მომხდართან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მიერ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით მომხდარი შემთხვევა, სავარაუდოდ, ოჯახურ პრობლემებს უკავშირდება.

თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს აღნიშნული ტრაგიკული ფაქტის გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს“, – ნათქვამია განცხადებაში.

გაირკვა დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ვინაობა. ის 19 წლის ჯონი ძინძიბაძეა.

მე-4 მექანიზებული ბრიგადის ჯარისკაცები ამბობენ, რომ ძინძიბაძეს არ იცნობდნენ და არაფერი იციან მის გარდაცვალებაზე. ისინი დამატებით კომენტარებს მედიასთან არ აკეთებენ.

ჯონი ძინძიბაძის დედა დარწმუნებულია, რომ მის შვილს სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაუსრულებია და გამოძიების მუხლის შეცვლას მოითხოვს.

– თავს ეგ არ მოიკლავდა, იმდენად ბედნიერი იყო. დამირეკა გუშინწინ, რომ ახალი გოგო გაიცნო. ანი ჰქვია, კარგი ადამიანი, წესიერი გოგოო. მინდა, რომ სახლში მოვიყვანო და გაგაცნოთო, ბედნიერი იყო, ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა. ჯარიდან გამოსვლას აპირებდა და მოყვანას, – ამბობს დაღუპული ჯარისკაცის და.

– დაამთავრა ჯარი და ვაზიანში გადავიდა, ამდენი ხანი არ მეცალა და ახლა გავიცანი კარგი გოგო და გაგაცნობო. მიდიოდა და მოდიოდა ჭკვიანად. არაფერი დაუშავებია. შორიდან აქვს ნასროლიო, – ამბობს დაღუპული ჯარისკაცის დედა.

პროკურატურამ ნაციმოძრაობის ოფისის დარბევის ფაქტზე 4 პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გორის რაიონული ორგანიზაციის ქონების დაზიანების ფაქტზე ოთხ პირს – გ.კ.-ს, თ.ა.-ს, თ.მ.-ს და გ.ბ.-ს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 2 მარტს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფებმა გ.კ.-მ, თ.ა.-მ, თ.მ.-მ და გ.ბ.-მ შეუწყნარებლობის მოტივით დააზიანეს ქ. გორში გარსევანიშვილის ქუჩაზე მდებარე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გორის რაიონული ორგანიზაციის ქონება, რამაც 1.500 ლარის ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

გ.კ.-ს, თ.ა.-ს, თ.მ.-ს და გ.ბ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ოთხივე ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

თეონა თამაზაშვილი: „უნდათ, გამომიყვანონ მდგომარეობიდან, რომ შევეშვა ამ საქმეს“

გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის დედა, თეონა თამაზაშვილი, 4 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

მისი გამოკითხვაზე დაბარება მოწმე მარიამ შარაშენიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა, რომლის მიხედვითაც, ბაჩალიაშვილს გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მასთან მიმოწერა ჰქონდა.

თეონა თამაზაშვილი ამბობს, რომ შარაშენიძის და მისი შვილის ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდა და ასევე უცნობია, არის თუ არა მათი ფეისბუქზე მიმოწერის სქრინები ნამდვილი.

– უნდათ, გამომიყვანონ მდგომარეობიდან, რომ შევეშვა ამ საქმეს. მეკითხებოდნენ, ადვოკატებთან ერთად რას აკეთებდი, ადვოკატი რას გირჩევდაო. ახლოვდება სტრასბურგი და ბოლომდე მივაწვები ამ საქმეს, – თქვა თეონა თამაზაშვილმა.

23 წლის პროგრამისტის გარდაცვალების საქმეზე პროკურატურამ გამოძიება უკვე დაასრულა, თუმცა მოწმეების დაკითხვა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები ისევ გრძელდება.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი შაბათს სახლიდან გავიდა და სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს.

23 წლის თამარ ბაჩალიაშვილი თეთრიწყაროს ტყეში საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

ექვსთვიანი გამოძიების შემდეგ საქმე დაიხურა და გარდაცვალების მიზეზად შოთაძის უწყებამ სუიციდი დაასახელა.

ოჯახი და ადვოკატები კი დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს თვითმკვლელობით შეფუთული კარგად ორგანიზებული მკვლელობა იყო. მიზეზი კი გარკვეული ინფორმაცია გახდა, რომელიც პროგრამისტმა მოიპოვა და შემდეგ ის თავიდან მოიშორეს.

გორში 12 წლის გოგონამ იმშობიარა

დაკავებულია 50 წლის მამაკაცი

სამართალდამცავებმა 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის ბრალდებით გორის მუნიციპალიტეტში 50 წლის მამაკაცი დააკავეს.

გამოძიება სსკ-ის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ვადით რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ქართლის“ ცნობით, გოგონამ 1 წლის წინ, 2020 წელს იმშობიარა. დღეს ის 13 წლისაა.

სოციალურ სააგენტოს ფაქტის შესახებ თბილისის ერთ-ერთი სამშობიაროს ადმინისტრაციამ აცნობა. ჩვილთან ერთად მოზარდი საცხოვრებლად თავშესაფარში გადაიყვანეს.

გოგონას მშობლები დევნილები არიან და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დაასახლეს, სადაც 10 წელი გაატარეს.

10 წლის შემდეგ მოზარდის დედამ მცირეწლოვანი შვილები სკოლიდან წაიყვანა და საცხოვრებლად თბილისში გადაიყვანა.

– თუმცა ეს ბინა კვლავ მათია და დედა ხშირად ჩამოდის ხოლმე. დაკავებული მამაკაცი სადაურია, არ ვიცით, – ამბობენ სოფელში.

შსს-ს თანამშრომელი და 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა გატარებული საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დოკუმენტის გაყალბების, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობისა და თაღლითობის მცდელობის ბრალდებით ორგანიზებული ჯგუფის 5 წევრი დააკავეს.

დაკავებულთა შორის ერთ-ერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია.

დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით ცდილობდნენ ერთ-ერთი მოქალაქის დეპოზიტზე არსებული თანხის თაღლითურად დაუფლებას.

დოკუმენტის გაყალბების, დიდი ოდენობით ორგანიზებული ჯგუფის მიერ თაღლითობის და თაღლითობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე, 180-ე და 19-180-ე მუხლებით მიმდინარეობს.

დიდ დიღომში 19 წლის შ.ქ-ს მკვლელობისთვის 36 წლის ზ.ს. დააკავეს

თბილისში, დიდ დიღომში, 3 მარტს მამაკაცი მოკლეს. დაჭრილია ასევე ერთი პირი.

შსს-მ დიდ დიღომში მომხდარი მკვლელობისთვის 1 პირი დააკავა. ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ზ.ს. განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა წარსულში არსებული უთანხმოების გამო მომხდარი ურთიერთშელაპარაკებისას ორი პირი – 2001 წელს დაბადებული შ.ქ. და 1988 წელს დაბადებული თ.გ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად შ.ქ. ინგოროყვას სახელობის კლინიკაში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, თ.გ. კი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მკურნალობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს.

განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 19-109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს“.

2021, 5 მარტი, №35

გერმანიაში ასტრაზენეკათი ყველა ასაკის ადამიანს აცრიან

გერმანია ასტრაზენეკას ვაქცინის მიმართ პოზიციას ცვლის და მის გამოყენებას 65 წელს გადაცილებული ადამიანების ასაცრელადაც გეგმავს.

ამის შესახებ ქვეყნის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა.

მისი თქმით, ბოლოდროინდელმა კვლევებმა საკმარისი მონაცემები უზრუნველყო იმისთვის, რომ ვაქცინა ყველა ასაკის მოქალაქის ვაქცინაციისთვის გამოიყენონ. მანამდე გერმანიამ ასტრაზენეკას ვაქცინის გამოყენების ნებართვა მხოლოდ 65 წლის ასაკამდე პირებისთვის გასცა, რის მიზეზადაც ქვეყანამ არასაკმარისი მონაცემების არსებობა დაასახელა.

ამ ნაბიჯმა ვაქცინის ეფექტურობის მიმართ საზოგადოების სკეპტიციზმი გამოიწვია, რის გამოც ასტრაზენეკას ვაქცინის უამრავი დოზა გერმანიაში ჯერ კიდევ გამოუყენებელია.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მარეგულირებელმა ორგანომ ასტრაზენეკას ვაქცინა ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოყენებისთვის მიმდინარე წლის იანვარში დაამტკიცა.

უნგრეთში მაღაზიები და დაწყებითი სკოლები იხურება

უნგრეთში კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შეზღუდვები მკაცრდება, რათა ქვეყანა „ძლიერ“ მესამე ტალღას გაუმკლავდეს.

ქვეყანაში იხურება მაღაზიების უმეტესობა და დაწყებითი კლასები სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადადიან. კონკრეტულად კი საბავშვო ბაღები და დაწყებითი სკოლები იხურება 7 აპრილამდე, ასევე, 8 მარტიდან 22 მარტამდე იხურება ყველა მაღაზია, გარდა საკვების მაღაზიების, აფთიაქებისა და ბენზინგასამართი სადგურებისა.

პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსის განცხადებით, მესამე ტალღა ყველაზე ცუდია, რაც ამ დრომდე ქვეყანაში ყოფილა და მთავრობამ გადაწყვიტა ლოქდაუნის ფარგლებში არსებული შეზღუდვების გამკაცრება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სიკვდილიანობა.

მთავრობაში ასევე განაცხადეს, რომ ვაქცინაციის კამპანია დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ ინფექციის გავრცელება შეაჩეროს.

სომხეთის ოპოზიციის პრემიერმინისტრობის კანდიდატს ბრალი წაუყენეს

სომხეთის ოპოზიციის პრემიერმინისტრობის კანდიდატ ვაზგენ მანუკიანს საგამოძიებო კომიტეტში ბრალი წაუყენეს.

მანუკიანის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილი შეირჩა.

ვაზგენ მანუკიანს ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ მიმართული მოწოდებების გაკეთებაში ადანაშაულებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პრინც ჰარის პაპასთან გამოსამშვიდობებლად დიდ ბრიტანეთში ჩასვლას ურჩევენ

პრინც ჰარის ურჩიეს, სასწრაფოდ დაბრუნდეს დიდ ბრიტანეთში, რათა გამოემშვიდობოს პაპას – დედოფალ ელისაბედ II-ის მეუღლეს, პრინც ფილიპს, რომელიც უკვე სამი კვირაა, საავადმყოფოშია. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ბუკინჰემის სასახლეში საკუთარ ინფორმატორზე დაყრდნობით ავრცელებს.

1 მარტს 99 წლის პრინცი ფილიპი მეფე ედუარდ VII-ის სახელობის საავადმყოფოდან წმინდა ბართლომეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს საჭირო გახდა გულის დაავადებასთან დაკავშირებით გამოკვლევების ჩასატარებლად. პრინც ფილიპის საავადმყოფოში მოთავსების თავდაპირველი მიზეზი ინფექციური დაავადება იყო, რომელიც ჯერ არ არის განკურნებული.

აღსანიშნავია, რომ დედოფალ ელისაბედ II-ის მეუღლის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე პრინცი ჰარი, მისი მეუღლე მეგან მარკლი და მათი შვილი არჩი თვითიზოლაციის რეჟიმში გადავიდნენ. ასეთ შემთხვევაში, თუ პრინც ფილიპის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება, ისინი დაუყოვნებლივ შეძლებენ კერძო თვითმფრინავით დიდ ბრიტანეთში გამგზავრებას.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოსდა სასახლეში უკვე დაიწყეს პრინც ფილიპის დაკრძალვისთვის მზადება.

11 წლის გოგონამ სახლის სარდაფში გარდაცვლილი მშობლები აღმოაჩინა

აშშ-ის ქალაქ სენტ-ლუისში გოგონამ კოვიდ-19-ისგან გარდაცვლილი მშობლები სახლის სარდაფში აღმოაჩინა.

ცნობილია, რომ გრეგორი და ერიკა გრინმენები კორონავირუსით დაინფიცირდნენ და გადაწყვიტეს, თვითიზოლაცია სახლის სარდაფში გაეტარებინათ, რათა თავიანთი ერთადერთი 11 წლის გოგონაც არ დაინფიცირებულიყო. ერთ დღესაც გოგონამ მშობლებს სარდაფში ჩააკითხა და ისინი გარდაცვლილები აღმოაჩინა.

მეზობელ ჩაკ დაის თქმით, მომხდარამდე მცირე ხნით ადრე ერიკ გრინმენმა ინსულტი გადაიტანა და გარკვეული დრო საავადმყოფოში გაატარა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მისი ტესტი კორონავირუსის ინფექციაზე დადებითი აღმოჩნდა, ამიტომ ქალი სახლში გაუშვეს თვითიზოლაციაში, მისგან კი მალე მისი მეუღლეც დაინფიცირდა.

– ორივე მშობლის ერთ დღეს დაკარგვა 11 წლის გოგონასთვის ნამდვილი ტრაგედიაა. ჩვენ ვლოცულობთ გოგონასთვის და მისი მშობლების სულებისთვის, – განაცხადა მეზობელმა ჩაკ დაიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი კეკელიძე: „დადექით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე!“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ხოს, აუცილებლად უთხარი, რომ ეს ერთხელ გამოხვედი სამწყემსად და მანამდე არ ყოფილხარ“. შენ მაინც ეკითხები და ისინი იმეორებენ ამ დავალებას: „აი, ძია, ძალიან იშვიათად ვეხმარები ხოლმე, ძალიან, თუ ავათა არიან“ და წვიმს, წვეთები ქუდიდან სახეზე ეწურებათ, სახე დახრილი აქვთ და მზერას ქვევით, უკვე შემხმარ ბალახებში მალავენ. მერე მე ვეკითხები სკოლის სახელს, საღამოს ვეძებ დირექტორს ან მასწავლებელს და ისინი მიყვებიან, რომ „თედო, რაც სკოლა დაიწყო, კლასში არა ყოფილა. კომპიუტერი? ვინ მისცემს მაგას კომპიუტერს? რომც აჩუქოთ, ზედ ვინ დასვამს? ისეთი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ, კვირაში ერთხელ თუ გამოჩნდა, დიდია. მაგ ბავშვსა ბავშვობა არა ჰქონია, თვალით არ უნახავს. გული დაგეწვება, გული. მეზობელმა მითხრა, დილით ექვსზე რომ წამოაგდებენ, მიაჩეჩებენ რაღაცას საგზალივით და წავიდა ძროხაში. ნუ იტყვით, ნუ იტყვით. ხან სახელმწიფოს ხალხი მივიდა, ხან ნათესავი, მაგრამ ბავშვი ისე ჰყავთ დაშინებული, სულ კარგს ამბობს და სულ მათ ქებაშია“ და განა თედოა მხოლოდ ასე, განა მხოლოდ ნიკო ან ზვიადი.

ან განა მხოლოდ დუშეთიდან ფასანაურამდე მიდის ეს გზა? ის აჭარიდან იწყება და კახეთის ბოლოს სწვდება. ალბათ საზღვარსაც სცდება, მაგრამ მე უფრო ჩვენი ამბავი მაინტერესებს. და ამ გზაზე დგანან ბავშვები, რომელთაც მშობელმა, ან ბიძა-ბიცოლამ, ან ვინმე ნათესავმა, ვისთანაც იზრდება, ადგა და ბავშვობა გამოგლიჯა ხელიდან. ბევრი ოცნება და ცოტა სიზარმაცე, ბევრი თამაში და ცოტა წიგნიც, აი, ასე გამოგლიჯა, ხელში სახრე შეაჩეჩა და გაუშვა. ამ გზაზე. ეს გზა კი არსად არ მიდის. ის არც ტაძრამდე მიიყვანს ამ ბავშვებს და, ასე განსაჯეთ, არც უფსკრულამდე.

ეს გზა არის და არც არის. გაყინული გზაა. საზარელი საცობი. ამ გზაზე დგანან ეს ბავშვები. აწვიმთ და იღიმიან. ახლა ის არ მითხრათ, რომ ოჯახს უჭირს. ვიცი და ამაზე ვილაპარაკე. კიდევ ვილაპარაკებ. და კიდევ. სახელმწიფო. საზოგადოება. მაგრამ ამ უბედურების ამ ნაწილზე ვწერ და ცხადად ვიცი, რომ არაფერია იმაზე დიდი დანაშაული, ვიდრე ბავშვისთვის სწავლის უფლების წართმევა და ღიმილის უფლების წართმევა და ცელქობის უფლების წართმევა და კიდევ ბევრი, ბევრი რამის წართმევა. თან ეს წართმევა ისეთია, რომ ვერავინ დაუბრუნებს და ვერც თვითონ.

სხვა ოჯახებსაც უჭირთ მათ მეზობლად, იმავე სოფლებში და იმავე ქუჩებზე. მაგრამ იკლებენ და ბავშვს აძლევენ. ჩემებსაც უჭირდათ მაშინ, მაგრამ სკოლაში წასვლის წინ ყიყლიყოს მახვედრებდნენ და გაპრიალებულ ჩანთას. თვითონ სხვა რამეს ჭამდნენ. სხვა რამეს იცვამდნენ. განა მე არ ვეხმარებოდი მშობლებს? ვეხმარებოდი და აქ არც სამარცხვინოა რამე. მაგრამ, სადაც საქმე სწავლაზე მიდგებოდა, მშობლები უკან დგებოდნენ და წინ მიშვებდნენ. ეგ არის, თუ ახალ სიცოცხლეს ბადებ, საკუთარს უნდა მოაკლო. საგანგებოდ გავყევი სახლისკენ ამასწინათ ერთ მათგანს, ობოლ ბიჭს და დავინახე სახლის წინ, პატარა აივანზე ტელევიზორი იდგა, დეიდამისი და კიდევ ერთი ქალი რაღაც ბოდვას უმზერდნენ და იცინოდნენ, ბიძა კიდევ ჭიშკრის წინ იჯდა და სიგარეტს ეწეოდა. ვიფიქრე, მივალ, ვეტყვი რამეს, მაგრამ მერე ისიც ვიფიქრე, რომ მე წავალ და ეს მოზარდი იქ დარჩება. და რომ დარჩება, თქვენც ხვდებით, რა დღესაც დააწევენ.

ჰოდა, იქ ვერ ვთქვი და აქედან გეუბნებით: უფროსებო, დადექით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე. ნუ ჩააცმევთ მათ ხუთი ზომით დიდ ფიქრს, ათი ზომით დიდ საქმეს, თხუთმეტი ზომით დიდ დარდს. ასე არ შეიძლება, ძალიან არ შეიძლება!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

საქართველო პორტუგალიისთვის ემზადება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ორშაბათიდან ლისაბონში იმყოფება და პორტუგალიასთან ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება.

ეს არის 2021 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველი შეხვედრა, რომელიც კოვიდ-პანდემიის გამო შეცვლილ ვადებში ტარდება და მასში პირველ ეტაპზე ხუთი გუნდი ჩაერთვება. მეექვსე მონაწილის ვინაობა 13 ივნისს ბელგიისა და ნიდერლანდების დაპირისპირების შედეგად გაირკვევა.

წლევანდელი რაგბი ევროპა 2023 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა და, შესაბამისად, თითოეული მატჩის შედეგს ორმაგი დატვირთვა აქვს.

როგორც გითხარით, ლევან მაისაშვილმა 32 „ბორჯღალოსანი“ ლისაბონში ორშაბათს შეკრიბა. პირველი დღე აღდგენას დაეთმო, შემდეგ კი ინტენსიური ვარჯიშები მიმდინარეობს.

ხვალ რაგბი ევროპის ჩემპიონატის კიდევ ერთი მატჩი სოჭში გაიმართება და რუსეთი რუმინეთს უმასპინძლებს. მოედნის მსაჯი შოთა თევზაძეა და მას კიდიდან საბა აბულაშვილი და მოლდოველი პროკოპი დაეხმარებიან, ხოლო ვიდეორეფერი თორნიკე გვირჯიშვილია.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალია ერთადერთი გუნდია, რომელიც საქართველოსა და რუმინეთის დავაში ჩაერია და 2003-04 წლების რაგბი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა. პირნინელები საუკუნის დასაწყისში „ბორჯღალოსნებისთვის“ უხერხული მეტოქეები იყვნენ, მაგრამ 2006 წლიდან ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

„ლობუშთან“ პირველად 1997 წელს ლისაბონში ფირა-აერის თასზე (რაგბი ევროპის ჩემპიონატის წინამორბედი) ვითამაშეთ და მეტოქემ 21:17 იმარჯვა, რასაც ქართველთა სამმატჩიანი მოგებების სერია მოჰყვა, 2003-05 წლებში კი მიჯრით 3 გამარჯვება უკვე პორტუგალიამ იზეიმა. რევანში 2006 წელს შედგა და საქართველომ „ლობუში“ დღემდე ყველაზე დიდი სხვაობით, 40:0 დაამარცხა.

მას შემდეგ 14 დაპირისპირებიდან 12 საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, 2 შეხვედრაში კი ფრე დაფიქსირდა. 2010 წლიდან დღემდე „ბორჯღალოსნებს“ მიჯრით 8 გამარჯვება აქვთ, სულ კი მეტოქე 15-ჯერ ჰყავთ დამარცხებული, ორჯერ ფრე დაფიქსირდა და ოთხჯერ მეტოქემ იმარჯვა – ბოლოს 2005 წელს. აღსანიშნავია, რომ პორტუგალია ლისაბონში მუდამ დიდი მონდომებით იბრძვის და ოთხიდან 3 გამარჯვება სწორედ საკუთარ დედაქალაქში მოიპოვა.

ლისაბონში „ლობუშს“ 11-ჯერ ვეთამაშეთ და 7 მოგებიდან მხოლოდ ორჯერ დაფიქსირდა 7 ქულაზე მეტი სხვაობა. 2016 წელს მეტოქეს თავის დედაქალაქში ბოლოჯერ ვეთამაშეთ და 29:3 ვძლიეთ. იმ წელს პორტუგალია რაგბი ევროპის „ალაფაზე“ დაქვეითდა და უმაღლეს დონეზე მხოლოდ შარშან აღზევდა. ერთი წლის წინ მათ პარიზში გვიმასპინძლეს, „ბორჯღალოსნებმა“ 7 ღელო გაიტანეს და 39:24 იმარჯვეს.

21 მატჩში საქართველომ პორტუგალიას ჯამში 62 ღელო და 508 ქულა გაუტანა. „ლობუშის“ ანგარიშზე 19 ღელო და 292 ქულაა.

კაშია ლოკომოტივში ითამაშებს

საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიცე-კაპიტანი გურამ კაშია თბილისის ლოკომოტივის ფეხბურთელია. კონტრაქტი 1-წლიანია და კაშია კლუბის ღირსებას 4-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

კაშიამ კარიერა თბილისის დინამოში დაიწყო, საიდანაც 2010 წელს ნიდერლანდურ ვიტესში გადავიდა. ჩვენებური გუნდს იქაც კაპიტნობდა და თასის მფლობელიც გახდა. 2018 წელს კი ამერიკაში გადაბარგდა და იქაური სან ხოსეს ღირსებას იცავდა. ბოლო პერიოდში უგუნდოდ იყო და ახლა ლოკოშია.

გურამ კაშია:

– ლოკომოტივში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი გუნდთან ერთად გავიარე; ვიყავი ესპანურ შეკრებაზე. საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება, რომ კლუბს შევუერთდე. ახლა გუნდის სრულფასოვანი წევრი და მისი ნაწილი ვარ. იმედი მაქვს, წარმატების მიღწევაში ჩემს წვლილს შევიტან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კვარაცხელიამ რუსეთი სასწრაფოდ უნდა დატოვოს

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ხვიჩა კვარაცხელია რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, რატომ მარტო რუსეთში – ჩვენებურს თვალი უკვე უცხოურმა კლუბებმაც დაადგეს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, კვარაცხელიას სანახავად 25 მარტს შვედეთი-საქართველოს მატჩზე ჩავლენ დორტმუნდის წარმომადგენლები, შემდეგ 28 მარტს უკვე თბილისში, საქართველო-ესპანეთის თამაშისას დააკვირდებიან.

ყაზანის რუბინის შემადგენლობაში ხვიჩამ ბოლოს მოსკოვის სპარტაკთან ითამაშა. ჩვენებურმა 2 საგოლე პასი გააკეთა და ტურის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. რუსული მედია უფრო გააქტიურდა და ქართველ ფეხბურთელს მოზრდილი სტატია მიუძღვნა.

აი, რას წერს რუსეთში ყველაზე პოპულარული სპორტული გამოცემა „სპორტ-ექსპრესი“.

ხვიჩამ სპარტაკი გაანადგურა, რუბინი მზადაა, ის გაყიდოს. როდის და რამდენად?

ხვიჩა კვარაცხელია გახდა სპარტაკი-რუბინის (0:2) საუკეთესო ფეხბურთელი. ის ყაზანელთა ორივე გოლში მონაწილეობდა და სხვებზე მეტად ამწვავებდა თამაშს.

რუბინი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ხვიჩას გაყიდვას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა: კლუბს მკაფიო წესი აქვს – არ გაყიდოს გუნდის ლიდერები შუა სეზონში, ანუ მაშინ, როდესაც მათი ჩანაცვლება შეუძლებელია.

რუბინის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, ქართველ ფეხბურთელს ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში შეელიოს. კლუბს აღარ სურს კვარაცხელიას გაჩერება. მენეჯერების აზრით, 20 წლის ფეხბურთელი უკვე მზადაა, ლამის ნებისმიერ ევროპულ გუნდში ითამაშოს.

რუბინს მსგავსი გამოცდილება ჰქონდა სერდარ აზმუნთან დაკავშირებით, რომელსაც ევროპაში წასასვლელად ამზადებდნენ, მოლაპარაკებები ჰქონდათ ინგლისურ კლუბებთან, მაგრამ ზედმეტად დააყოვნეს და... საბოლოოდ ზენიტს მიჰყიდეს. 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ რუბინს სხვა შემოთავაზებები, უბრალოდ, არ ჰქონია.

ცხადია, ხვიჩასთან ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ. ფეხბურთელი უნდა გაყიდონ მაშინ, როცა მასზე მოთხოვნაა და ის ევროპაში გადასასვლელად მზადაა. გასულ წელს რუბინმა მიიღო შეთავაზებები რუსეთიდან -დოკუმენტი ყაზანში კრასნოდარმა გააგზავნა.

კრასნოდარელებმა ყაზანელებს 10 მილიონი ევროს კომპენსაცია და რუბინში ხვიჩას წელიწადნახევრიანი იჯარით დატოვება შესთავაზეს. მაშინ ყაზანელებმა უარი თქვეს: მათ ხვიჩას რუსულ კლუბში გაყიდვა არ სურთ და მიზნად მის ევროპაში გადაყვანას ისახავენ.

არის მეორე ვარიანტი – რუბინი ფასმა დააკმაყოფილა. გავრცელებული ცნობით, რუბინი კვარაცხელიას 15 მილიონ ევროდ გაყიდვას აპირებს. კლუბი ამ ზღვარს ქვემოთ შეთავაზებებს არ განიხილავს, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება რეალის ან ბარსელონის წინადადება.

რუბინი მომავალი გაყიდვიდან პროცენტს ითხოვს

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუბინი კვარაცხელიას გარიგებაში სამომავლო გაყიდვიდან პროცენტს ითხოვს, როგორც ეს ზენიტთან აზმუნის შემთხვევაში გააკეთეს.

ირანელი ფეხბურთელის სანკტ-პეტერბურგის კლუბში გადასვლისას გაფორმებულ სატრანსფერო ხელშეკრულებაში შევიდა პუნქტი მისი მომავალი ტრანსფერიდან 20-პროცენტიანი კომპენსაციის შესახებ. იმავეს გაკეთება სურთ ხვიჩას შემთხვევაშიც და ეს 20-25%-ის ფარგლებში იქნება, ანუ რუბინი, ამ პუნქტის გამო, კვარაცხელიას ტრანსფერში, ნებისმიერ შემთხვევაში, 15-20 მილიონ ევროზე მეტს მიიღებს.

ამიტომ კომპენსაციის ოდენობა შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს, მთავარია, რომელ კლუბში წავა ხვიჩა. თუ ქართველი ფეხბურთელი შესაფერის გუნდში აღმოჩნდება, სადაც პროგრესს გააგრძელებს და ახალ დონეზე ავა, ასეთ შემთხვევაში რუბინი კიდევ უფრო მეტს მიიღებს. კლუბი ელის, რომ სერიოზულ ევროპულ კლუბში ხვიჩას ფასი მნიშვნელოვნად გაიზრდება და ქართველის ტრანსფერიდან ყაზანელები რამდენიმე წელიწადში დამატებით 10 მილიონი ევროს მიღებას შეძლებენ.

სად წავა ხვიჩა?

ზამთარში რუბინს ხვიჩასთან დაკავშირებით ოფიციალური შეთავაზებები არ მიუღია. ჯერჯერობით ქართველის მიმართ ინტერესი კვლავ საუბრებისა და მიმართვების დონეზეა, მაგრამ არა ოფიციალური დოკუმენტების სახით. ხვიჩათი აქტიურად არიან დაინტერესებული გუნდები, რომლებიც არ არიან იტალიის ჩემპიონატის ლიდერები და არც ევროპის ტოპ 5-დან.

საქმეს ართულებს ისიც, რომ დღეს საქართველოს საშუალო დონის ნაკრებია. რაც მთავარია, ამ ნაკრებმა ვერ შეძლო ევროპის ჩემპიონატზე გასვლა, სადაც 24 გუნდი ითამაშებს. ეს ხელს უშლის მოლაპარაკებებს იმავე შუამავლებთან, რომლებიც ფეხბურთელების დიდი საფეხბურთო ქვეყნებიდან (ესპანეთი, საფრანგეთი, ბრაზილია, არგენტინა) იბირებენ.

რუბინისა და ხვიჩას მთავარი მიზანია, იპოვონ ისეთი კარიერული ვარიანტი, სადაც ფეხბურთელი შემდგომშიც განვითარდება. რა თქმა უნდა, კვარაცხელია ბაიერნის ან ლივერპულის დონის ტოპკლუბისთვის მზად არ არის. რუბინს ეს ესმის, ამიტომ ისინი მიზნად ისახავენ შუალედურ ვარიანტს, რომელიც სამომავლო პლაცდარმი გახდება. დაახლოებით ისეთ გუნდზე, ჩემპიონობაზე პრეტენზია რომ არ აქვს, მაგრამ ევროტურნირზე ითამაშებს, რაც დღეს ხვიჩას ძალიან სჭირდება.

კვარაცხელიას თებერვლის დასაწყისში 20 წელი შეუსრულდა. ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგა მისთვის უკვე პატარა სარბიელია. ამ სეზონში უკვე ხუთჯერ მიიღო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო – უფრო მეტჯერ, ვიდრე ვინმემ რომელიმე სხვა ფეხბურთელმა.

აკი თქვა კიდეც რუბინის გენერალურმა დირექტორმა რუსტემ საიმანოვმა, რომ ხვიჩა ისე ჩანს, თითქოს სხვა ლიგიდანაა.

თავად კვარაცხელიას ოცნების გუნდი რეალია, რომელსაც ბავშვობიდან გულშემატკივრობს და კომპიუტერულ თამაშებშიც ყოველთვის მადრიდულ გუნდს ირჩევს, აკვირდება შედეგებს და უყურებს მნიშვნელოვან მოვლენებს. ის მომავალში მიზნად სწორედ რეალში თამაშს ისახავს.

ამ ოცნების ასასრულებლად კი რუსეთი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვოს.

შერმადინი და შენგელია ევროპაში იგებენ

წარმატებით დაიწყო ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი გიორგი შერმადინის ტენერიფემ. ესპანური კლუბი სარაევოში იგოკეას შეხვდა და 20 ქულის სხვაობით – 82:62 დაამარცხა. ქართველი ცენტრი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. როგორც მიმდინარე სეზონის უმეტეს მატჩში, შერმადინი ამჯერადაც ყველაზე სარგებლიანი იყო და მორიგი მვპ-ის ტიტულიც დაიმსახურა.

შეგახსენებთ, რომ ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის პირველ ეტაპზე ტენერიფელებმა 4-გუნდიან ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და იმ 16 საუკეთესოთა შორის მოხვდნენ, რომლებიც მეორე ეტაპისთვის 4 კალათაში განაწილდნენ. შერმადინის გუნდის მეტოქეები იგოკეასთან ერთად არიან რიგის ვეფი და ესპანური ბურგოსი. ჯგუფიდან 2 საუკეთესო რვათა ფინალში გავა.

შერმადინმა მოედანზე 26 წუთი გაატარა და 17 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ჩვენებურმა 11-დან 7 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგო.

მომდევნო ტურში ტენერიფელები ესპანეთის ქალაქ ბურგოსში ჩავლენ და თად მაკფადენის გუნდს დაუპირისპირდებიან.

ევროლიგის 27-ე ტურში მოსკოვის ცსკამ თელ ავივში მაკაბი დაამარცხა. არმიელთა სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ მოედანზე 21 წუთი გაატარა თორნიკე შენგელიამ, რომელიც ტრავმის შემდეგ ჩვეულ ფორმას ნელნელა უბრუნდება.

მატჩი ცსკა-სთვის იოლად დაიწყო და რთულ ბრძოლაში დასრულდა. არმიელებმა პირველი და მეორე პერიოდები დამაჯერებლად მოიგეს, 18 ქულით დაწინაურდნენ და დიდ შესვენებაზე გულდამშვიდებულნი გავიდნენ. მეორე ნახევარში მასპინძლებმა უპირატესობა მოიპოვეს და, მეტი დრო რომ ჰქონოდათ, შეიძლება ემარჯვათ კიდეც. საბოლოოდ ცსკამ შეინარჩუნა მოპოვებული ლიდერობა და 84:80 იმარჯვა.

შენგელიამ 5-დან 2 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამიანი კი აიცილა.

ცსკას 26 მატჩიდან 16 მოგება აქვს და მე-2 პოზიციაზეა. შენგელიას გუნდს მხოლოდ ბარსელონა უსწრებს (17). მომდევნო ტურში ცსკა თურქეთში ეფესს ესტუმრება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტუმირი სიკვდილს ისევ უგებს

ბრაზილიური შაპოკაენსეს ფეხბურთელი ედვინ ტუმირი ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. ის უკვე მეორედ გადაურჩა სიკვდილს.

ჯერ იყო და 2016 წელს შაპოკაენსე ავიაკასტროფაში მოყვა და გადარჩა.

ფეხბურთს თავდანებებული ტუმირი ბოლივიაში ტურისტულად წავიდა და ავტოკატასტროფაში მოყვა – ავტობუსი 150 მეტრი სიმაღლიდან გადავარდა. ავტოკატასტროფას მსხვერპლის გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია – გარდაცვლილია 21 ადამიანი, ხოლო 13 – დაშავებული. ტუმირი კი ისევ ცოცხალია.

ედვინ ტუმირი:

– როდესაც წამოვდექი, მუხლი მტკიოდა. არ მჯერა, ისევ? შელოცვილი ვარ.

ᲩᲔᲓᲘᲒᲔᲑᲘ

3 მარტი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერიგა

ბარნლი-ლესტერი	1:1
შეფილდი-ასტონ ვილა	1:0
კრ.პალასი-მანჩესტერი	0:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	27	20	5	2	56-17	65
2.მანჩესტერი	27	14	9	4	53-32	51
3.ლესტერი	27	15	5	7	46-31	50
4.ვესტ ჰემი	26	13	6	7	40-31	45
5.ჩელსი	26	12	8	6	41-25	44
6.ლივერპული	26	12	7	7	47-34	43
7.ევერტონი	25	13	4	8	38-33	43
8.ტოტენჰემი	25	11	6	8	41-27	39
9.ასტონ ვილა	25	12	3	10	38-27	39
10.არსენალი	26	11	4	11	34-27	37
11.ლიდსი	26	11	2	13	43-44	35
12.ვულვზი	27	9	7	11	28-37	34
13.კრ.პალასი	27	9	7	11	29-43	34
14.საუთჰემპტონი	26	8	6	12	31-44	30
15.ბარნლი	27	7	8	12	19-35	29
16.ბრაიტონი	26	5	11	10	26-33	26
17.ნიუკასლი	26	7	5	14	27-44	26
18.ფულემი	26	4	11	11	21-32	23
19.ვესტ ბრომვიჩი	26	3	8	15	20-55	17
20.შეფილდი	27	4	2	21	16-43	14

ინგლისი. ჩემპიონიგა

ნორვიჩი-ბრენტფორდი	1:0
ქპრ-ბარნსლი	1:3
უოტფორდი-უიკომბი	2:0
ბრისტოლი-ბორნმუთი	1:2
უენსდი-როტერჰემი	1:2
სტოკი-სუონსი	1:2

ესპანეთი. სამეფო თასი

ბარსელონა-სევილია	3:0(დდ)

იტალია. სერია ა

სასუოლო-ნაპოლი	3:3
ატალანტა-კროტონე	5:1
ბენევენტო-ვერონა	0:3
ჯენოა-სამპდორია	1:1
კალიარი-ბოლონია	1:0
მილანი-უდინეზე	1:1
ფიორენტინა-რომა	1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	24	17	5	2	60-24	56
2.მილანი	25	16	5	4	48-30	53
3.ატალანტა	25	14	7	4	60-32	49
4.იუვენტუსი	24	14	7	3	48-20	49
5.რომა	25	14	5	6	50-38	47
6.ნაპოლი	24	14	2	8	52-28	44
7.ლაციო	24	13	4	7	38-32	43
8.ვერონა	25	10	8	7	34-27	38
9.სასუოლო	24	9	9	6	40-37	36
10.სამპდორია	25	9	4	12	34-37	31
11.უდინეზე	25	7	8	10	27-34	29
12.ბოლონია	25	7	7	11	32-38	28
13.ჯენოა	25	6	9	10	27-37	27
14.ფიორენტინა	25	6	7	12	26-38	25
15.სპეცია	25	6	7	12	32-46	25
16.ბენევენტო	25	6	7	12	25-47	25
17.კალიარი	25	5	6	14	27-41	21
18.ტორინო	23	3	11	9	33-41	20
19.პარმა	24	2	9	13	19-47	15
20.კროტონე	25	3	3	19	24-62	12

საფრანგეთი. ლიგა 1

ბრესტი-დიჟონი	3:1
ლიონი-რენი	1:0
მეცი-ანჟე	0:1
ნიცა-ნიმი	2:1
სტ.ეტიენი-ლანსი	2:3
ბორდო-პსჟ	0:1
ლილი-მარსელი	2:0
მონპელიე-ლორიანი	1:1
ნანტი-რეიმსი	1:2
სტრასბური-მონაკო	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლილი	28	18	8	2	49-17	62
2.პსჟ	28	19	3	6	62-17	60
3.ლიონი	28	17	8	3	56-25	59
4.მონაკო	28	17	4	7	56-38	55
5.ლანსი	28	12	8	8	42-39	44
6.მეცი	28	11	8	9	33-27	41
7.მონპელიე	28	11	7	10	44-47	40
8.მარსელი	27	10	9	8	34-32	39
9.ანჟე	28	11	6	11	33-42	39
10.რენი	27	10	8	9	33-31	38
11.ნიცა	28	10	5	13	35-40	35
12.რეიმსი	28	8	10	10	34-35	34
13.ბრესტი	28	10	4	14	42-50	34
14.სტრასბური	28	9	6	13	36-41	33
15.ბორდო	28	9	6	13	28-34	33
16.სტ.ეტიენი	28	7	9	12	29-42	30
17.ლორიანი	28	7	6	15	34-52	27
18.ნიმი	28	7	4	17	27-54	25
19.ნანტი	28	4	12	12	28-44	24
20.დიჟონი	28	2	9	17	19-47	15

შოტლანდია. ჰემპიერიგა

ჰამილტონი-სტ.ჯონსონი	1:1
ლივინგსტონი-რეინჯერსი	0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ერზრუმი-ქარაგუმრუქი	2:2
ბაშაქშეჰირი-ქონია	1:1
სივასი-ჰატაი	1:1
ანკარაგიუჯიუ-გალათასარაი	2:1
ანკარაგიუჯიუს მე-2 გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა	
ქაისერი-რიზე	2:1

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ნორდსიელანდი	0:1
ჰორსენსი-ოლბორგი	2:1
კოპენჰაგენი-ვეილე	2:1

სამგლოვიარო განცხადებები

ელისო კვიკვინია, გურამ კვიკვინია, რევაზ ხაინდრავა, ანტონ ვარდია, ეკა ანთია, ნინო მაქაცარია თანაგრძნობას ვუცხადებთ მარინა კვიკვინიას მეუღლის

მერაბ ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ᲯᲘᲮᲝᲡᲕᲝᲰᲘᲦᲘ Ბ



შვეულად: 1. გამკილავი შინაარსის სახელდახელოდ თქმული ლექსი; 2. რძის პროდუქტი; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. საცხენოსნო შეჯიბრება; 5. რეზინის სპორტული ფეხსაცმელი; 6. უდაბნო ჩილეში; 9. ქართველი მკლავჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი; 10. დუქნის, სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 11. შემინული აივანი; 14. პოეტური ქმნილება; 16. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 18. კავკასიაში გავრცელებული კლდის თხა; 20. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 23. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 24. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 25. ჩარხზე დასამაგრებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 26. მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმელი.

თარაზულად: 7. ადამიანის ყოფიერების ზოგადი კანონების შემსწავლელი ფილოსოფიის ნაწილი; 8. ბუნებრივი ნაკრძალის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში; 12. რიტმული სვლა მწყობრი ნაბიჯით; 13. სქელი ქაღალდი; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 17. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 19. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფფსვო, სპოროვანი მცენარე; 21. ფინური აბანო; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. მაღალი კლასის სასადილო.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ოჩოკოჩი; 2. მაკბეტი; 3. ცვეიგი; 4. ბროლა; 5. დინდგელი; 7. ჩაი; 11. კლოაკა; 15. სანდომი; 16. ჟიგოლო; 17. გარდა; 18. ტვიში; 20. ნანტი; 22. ნეტო.

თარაზულად: 6. ჩუვაჩი; 7. სარაევო; 9. ყროყინი; 10. კორსიკა; 12. თაგვი; 13. ამაგი; 14. ვაპორეტო; 19. პუნსონი; 21. საბენა; 23. ვოლგა; 24. ადეპტი; 25. ომმეტრი; 26. სიტროენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფერხული; 2. ტიგელი; 3. პამფლეტი; 4. დიზელი; 6. პაპარაცი; 8. გრანდი; 11. ჩანტლაძე; 12. ბენუარი; 16. ხირსა; 17. ჰიჯრა; 18. ბრიჯი.

თარაზულად: 1. ფანტომი; 5. კლიპი; 7. კაბალიე; 9. ხავერდი; 10. გერნიკა; 13. გაუტამა; 14. ვადუცი; 15. ცემი; 19. ხურჯინი; 20. დიასტოლა; 21. პასტორალი; 22. პერესი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3252

ევრო — 3.9976

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6187

100 რუსული რუბლი — 4.4557

ამინდის პროგნოზი 5 მარტისათვის

9 მარტიდან

მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ამ წიგნში ნებისმიერი გემოვნების მკითხველი მიაგნებს მისთვის საინტერესო საკითხავს, შეხვდება საყვარელ უცხოელ ავტორებს, რომლებიც გამოგზაურებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში, შეხვდებით თქვენთვის საყვარელ პერსონაჟებს და გაეცნობით მათ საინტერესო თავგადასავლებს. გადაშლისთანავე დარწმუნდებით, რომ მისი ადგილი სწორედ თქვენს ბიბლიოთეკაშია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ანეკდოტი

ქალი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, როგორაა დაშავებული?

– ჰოო, მძიმე მდგომარეობაშია, მძიმე მოტეხილობები აქვს!

– მასთან დალაპარაკება შეიძლია?

– სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია! თუ მისთვის რაიმეს თქმა გსურთ, მითხარით და მე გადავცემ!

– თუ შეიძლება, ჰკითხეთ, მართვის მოწმობის გამოცდა ჩავაბარე?

•••

რაიონში მიმავალი ხალხით სავსე ავტობუსი გაჩერებაზე დგას. ამ დროს ამოვიდა ერთი გარე მოვაჭრე და დასცხო:

– აბა ჩიფსები, კანფეტები, შოკოლადები.

ერთის ჩასვლისთანავე მეორე გარე მოვაჭრე ამოვიდა დ ახლა იმან დაიწყო:

– აბა ზეფირი, კარამელი...

მალე ისიც ჩავიდა. ამოვიდა მესამე:

– აბა კოკა-კოლა, ფანტა, სპრაიტი...

ისიც რომ ჩავიდა, უკანა რიგში მჯდომი მიხო წამოხტა და ავტობუსის მძღოლს მიაძახა:

– ჯო, შე შობელძაღლო, სანამ შილაფლავს არ ჩამაატარებენ, აგრე უნდა ვიდგეთ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორაა შენი საქმეები?

– ხელფასი დაბალი და არასტაბილურად გვიხდიან. და შენ?

– შესანიშნავად, ხელფასი მაღალი მაქვს და სტაბილურად არ მიხდიან.

•••

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, შენთან წინადადება მაქვს, რომელზეც მთელი ჩემი მომავალი ცხოვრება იქნება დამოკიდებული.

– თანახმა ვარ!

– ბანკში ჩემი თავდები გახდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ წიკლაურის უკანასკნელ სიმღერაზე კლიპი მომზადდა

რეჟისორმა ბესო ჩუბინიძემ მომღერალ თემურ წიკლაურის უკანასკნელ სიმღერაზე კლიპი მოამზადა და მისი პრეზენტაცია ინტერნეტით გამართა.

„ყველას რადა ჰკლავ, სიკვდილო, რად არ თვითონა ჰკვდებიო“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც კომპოზიტორმა ნუგზარ თუშიშვილმა იოსებ ბაიაშვილის ლექსზე დაწერა.

ბესო ჩუბინიძე:

– თემოს გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე ამ სიმღერაზე კლიპის გადაღება გვქონდა დაგეგმილი. მერე მოულოდნელად ორივე კოვიდით დავავადდით, ორივე კლინიკაში მოვხვდით, 22 დეკემბერს შევთანხმდით, რომ გამოვიდოდით, აუცილებლად დაგვემთავრებინა დაწყებული საქმე...

დავამთავრე. თემოს გარეშე. ეძღვნებათ შინდისის ომის გმირებს. აყურებინეთ ყველა ქართველს დედამიწაზე.

ამირან შალიკაშვილი: „ჩვენმა თეატრმა ძალიან დაძაბული პერიოდი გამოიარა“

საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი აცხადებს, რომ მათმა თეატრმა ურთულესი პერიოდი გაიარა:

– ჩვენმა თეატრმა ძალიან დაძაბული პერიოდი გამოიარა და მოხვდა დიდი წნეხის ქვეშ!

2009 წლიდან დაიწყო პანტომიმის ჟანრის ფუძემდებლის დევნა, ხოლო 2011 წელს ნახევარსაუკუნოვანი თეატრი დაიხურა იმ მიზნით, რომ შენობა, რომელიც რუსთაველის გამზირის 37 ნომერში მდებარეობს, გაყიდულიყო!

თეატრს დაუკარგეს სიცოცხლე, მომავალი! თეატრის ყველა თანამშრომელი ქუჩაში დარჩა! თავად ფუძემდებელი, ამირან შალიკაშვილი კი თეატრალური უნივერსიტეტიდან, თავისივე დაარსებული ფაკულტეტიდან გაათავისუფლეს! იყო დრო, როდესაც თეატრი უდიდესი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდა, საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრი აღარ ჰქონდა!

ამ ეტაპისთვის თეატრმა თბილისის მერიისგან მიიღო მიწის ნაკვეთი და სულ მალე დაიწყება თანამედროვე პლასტიკისა და პანტომიმის, შალიკაშვილის თეატრის მშენებლობა!

ოთო ნემსაძე ონლაინკონცერტს გამართავს

7 მარტს მომღერალი ოთო ნემსაძე ონლაინკონცერტს გამართავს. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ზვიად ბოლქვაძე და ჯგუფი „ნიუტონი“.

კონცერტზე დასასწრები ბილეთი 10 ლარი ღირს. სპეციალურ ბმულზე გადასვლისას მომხმარებელი ავტომატურად გახდება ბილეთის მყიდველი, თანხის ჩარიცხვის შემდეგ კი კონცერტის დაწყებამდე ელექტრონულ ფოსტაზე მიუვა კონცერტზე დასასწრები ბმული.

ოთო ნემსაძე, ზვიად ბოლქვაძე და ჯგუფი „ნიუტონი“ მსმენელს მრავალფეროვან საკონცერტო პროგრამას წარუდგენენ.

– ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა იმიტომ, რომ პანდემიამ უდიდესი ზიანი მიაყენა ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს. იმედი გვაქვს, ბევრი მაყურებელი გვეყოლება, – აცხადებენ კონცერტის ორგანიზატორები.

არტეტა: „არსენალიდან წასვლას არ ვაპირებ“

არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ განაცხადა რომ არსენალში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს, თუმცა ამაზე ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ. არტეტას თქმით, არსენალში ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი და უამრავი გეგმა აქვს გუნდთან დაკავშირებით:

– არ ვიცი, ჭორები საიდან ვრცელდება, მაგრამ ერთის თქმა შემიძლია, რომ არსენალიდან წასვლას არ ვაპირებ და მინდა, გუნდთან ერთად წარმატებას მივაღწიო. ამჟამად მხოლოდ ამაზე ვფიქრობ.

კუმანი: „ჩემი გუნდით ძალიან ვამაყობ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა სევილიასთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ თავისი გუნდით ამაყობს.

კუმანმა ხაზი გაუსვა, რომ ბარსელონამ შეძლო რთული ამოცანის შესრულება, რაც ყველა გუნდს არ გამოუვიდოდა:

– ძალიან ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, რადგან მათ გააკეთეს ის, რაც რამდენიმე კვირის წინ რთული წარმოსადგენი იყო. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ და ეს დაგვიფასდა, თუმცა წინ ფინალია და ჯერ არაფერი მოგვიგია. მინდა, ბარსელონასთან ერთად ბევრი ტიტული მოვიპოვო.

ბენზემა ატლეტიკოსთან ვერ ითამაშებს

მადრიდის რეალის ფრანგი ფორვარდი კარიმ ბენზემა ატლეტიკოს წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებს, რადგან მცირე ტრავმა აწუხებს. რამდენიმე დღეა, ბენზემას გუნდთან ერთად არ უვარჯიშია.

ატლეტიკოსთან შეხვედრა 7 მარტს გაიმართება და ეს მატჩი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან მათ შორის ქულათა სხვაობა საკმაოდ მცირეა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 მარტისათვის

ვერძი – სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასვლა, სავარაუდოდ, იმედებს არ გაგიმართლებთ. ზომიერად იაქტიურეთ. **კურო** – მატერიალურ სფეროში გაუმჯობესება შეინიშნება. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – ბიზნესში გაგიმართლებთ. პრობლემები შეგექმნებათ დოკუმენტების გაფორმებისას. **კირჩხიბი** – იყავით პრინციპული, განსაკუთრებით – სამსახურში. ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული ხართ. **ლომი** – თქვენი ახალი იდეები უფროსობას არ მოსწონს. თავმდაბლად იმუშავეთ. **ქალწული** – კრიტიკული დღეა. ოჯახშიც და სამსახურშიც დაბრკოლებები შეგხვდებათ. **სასწორი** – კოლექტიური მუშაობა არ გაამართლებს. სიტუაცია გონივრულად შეაფასეთ. **ღრიანკალი** – მშვიდი, კეთილისმყოფელი დღეა. საღამოს დეპრესია შემოგიტევთ. **მშვილდოსანი** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ნუ მიიღებთ. კოლექტიური საქმიანობა დღის დევიზია. **თხის რქა** – შანსს ნუ გაუშვებთ, პირად ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანოთ. გარისკვა რეკომენდებულია. **მერწყული** – უეცრად წარმოშობილი კონფლიქტი თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. ნუ მოდუნდებით. **თევზები** – ეზიარეთ მშვენიერებას. იზრუნეთ ცოდნის არეალის გაფართოებაზე. დღეს გიმართლებთ ყველა სფეროში.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

გიორგი კეკელიძე: „დადექით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე!“

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე მიმართავს უფროსებს და სთხოვს, ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე დადგნენ:

– უფროსებო, დადექით ბავშვების ბავშვობის სადარაჯოზე. ნუ ჩააცმევთ მათ ხუთი ზომით დიდ ფიქრს, ათი ზომით დიდ საქმეს, თხუთმეტი ზომით დიდ დარდს. ასე არ შეიძლება, ძალიან არ შეიძლება!

კი, ისევ ბავშვებზე უნდა მოგიყვეთ. და საერთოდ, მათზე ხშირად მოგიყვეთით. ეს იქნება ჩემი მთავარი მოსათხრობი საქმე.

დუშეთიდან ლამის ფასანაურამდე ავუყევი. აქ ისეა, რომ ყოველ მოსახვევზე მცირე საძოვარია, მერე – აკლაკნილი გზა და მერე პატარა სოფელი. და ამ საძოვრებზე აუცილებლად შეგხვდებათ ბავშვი მწყემსი, ორმოციოდ ძროხას რომ მოუძღვება, ჯარისკაცის უზარმაზარი საწვიმარი აცვია და ორი ზომით დიდი ქუდი ახურავს. განა ამბავს ვამხატვრულებ და ვამძაფრებ, ზუსტი სურათია, ზეპირი. ჰო, კიდევ ერთი დიდი ბოთლი წყლისთვის და პარკი, სადაც ალბათ რამე წასაღუკმი უდევს. ყველი. პური. ასეთი ბავშვი სამი შემომხვდა. სამივე სხვადასხვა სოფლიდან. სამივე დიდი სევდითა და მორცხვი ღიმილით. სამივე საგანგებო დავალებით, „თუ ვინმე საეჭვომ გკით-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ოხუნჯი, ხუმარა ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ესპანური ღვინო; 3. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 5. ოპერა „კარმენის“ პერსონაჟი; 6. გაეროს ერთ-ერთი სამუშაო ენა; 8. ნუშისებრი ჯირკვლების ანთება; 11. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 13. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 14. პრივილეგიური, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 15. სამართლის დარგის სპეციალისტი; 19. ბრიტანეთის, აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი კანონპროექტი.

თარაზულად: 1. მყარი საწვავი ნივთიერება; 4. საუზმე სადილსა და ვახშამს შორის; 7. მუნჯური კინოს ფრანგი კომიკოსი; 9. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 10. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 12. აეროპორტი ამსტერდამში; 16. ნეპალის დედაქალაქი; 17. ვირტუოზი ესპანელი გიტარისტი მამაკაცი; 18. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 20. კიდულ რელსებზე მოძრავი ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 21. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 22. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა